კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო
უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა

ანი ჯინჭარაძე

სეპარატიზმის გავლენა საქართველოს ეროვნულ და რეგიონალურ უსაფრთხოებაზე

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ვახტანგ მაისაია

პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი-2021

ანოტაცია

სეპარატიზმი არის გლობალური უსაფრთხოების ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა. იგი იმ ასიმეტრიულ საფრთხეთა შორისაა, რომელიც განსაზღვრავს რეგიონალურ და მსოფლიო პოლიტიკას. სეპარატიზმი უდიდესი საფრთხის შემცველია დღევანდელი მსოფლიო წესრიგისთვის. სეპარატისტული კერები ანტარქტიდის გარდა თითქმის ყველა კონტინენტზე გვხვდება და ძალიან ბევრ ქვეყანას აქვს მასთან დაკავშირებული პრობლემები. სეპარატიზმისგან მომავალი უდიდესი საშიშროება მის ჯაჭვურ რეაქციაში მდგომარეობს. ერთ ქვეყანაში სეპარატისტული ძალების წარმატება, დიდი ალბათობით გამოიწვევს დანარჩენ ქვეყნებში სეპარატისტული განწყობების მომრავლებას, რამაც თავისუფლად შეიძლება მსოფლიო ქაოსამდე მიიყვანოს. საერთაშორისო საზოგადოება კარგად აცნობიერებს იმ საფრთხეს, რომელიც მომდინარეობს სეპარატიზმისგან. საერთაშორისო სამართალი გმობს აგრესიულ სეპარატიზმს და იცავს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის პრინციპს.

მოცემულ ნაშრომში შევეცადე წარმომეჩინა სეპარატიზმის უარყოფითი გავლენა ქვეყნის ეროვნულ და რეგიონალურ უსაფრთხოებაზე. შევისწავლე საქართველოს სეპარატისტული კერები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სახით და საერთაშორისო სამართლებრივი კუთხით შევაფასე მათი სეცესიისკენ სწრაფვის ლეგიტიმურობა. ამასთანავე განვიხილე რუსეთის, როგორც ამ პროცესებში აქტიურად ჩართული აქტორის როლი. კერძოდ, ჰუმანიტარული ინტერვენციისთვის საჭირო წინაპირობებისა და კრიტერიუმების საფუძველზე შევაფასე საქართველოში მისი სამხედრო ინტერვენციის მართებულობა.

Annotation

The Impact of Separatism on Georgia's National and Regional Security

Separatism is one of the main challenges to international security. It is among the asymmetric threats, that define regional and global politics. Separatism became the greatest threat to a new world order. Separatist hotbeds are found on almost every continent except Antarctica, and many countries have problematic issues with it. The main danger of separatism lies in its domino effect. The success of separatist regions in one country can increase separatist movements in other countries, that will cause world chaos and damage international security. The international community is well aware of the threats coming from separatism. International law is against of aggressive separatism and defend the principle of the inviolability of the territorial integrity of the state.

In this paper, I have tried my best to illustrate the negative impact of separatism on state's national and regional security. I have studied the separatist movements of Abkhazia and Tskhinvali region and according to international legal point of view, I've assessed the legitimacy of their secession. I have also discussed the role of Russian Federation, as an actor actively involved in these processes. In particular, based on the preconditions and criteria required for humanitarian intervention, I have assessed the validity of Russia's military intervention in Georgia.

Ani Jintcharadze

სარჩევი

ანოტაცია 2
Annotation..... 3
შესავალი..... 5
I თავი - სეპარატიზმი, როგორც თანამედროვე ასიმეტრიული საფრთხე ეროვნული და რეგიონალური უსაფრთოებისთვის..... 14
1.1 სეპარატიზმის რაობა, მისი გამომწვევი მიზეზები და მასთან ბრძოლის პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები 16
1.2 საქართველოში არსებული სეპარატისტული გამოწვევები და მათი დაძლევის პერსპექტივები..... 20
II თავი - სეპარატიზმის შეფასებითი ანალიზი საერთაშორისო სამართალში..... 25
2.1 სეპარატიზმის არსი საერთაშორისო სამართალში და მისი ლეგიტიმაციის საფუძვლები..... 30
2.2 აფხაზური და ოსური სეპარატიზმის სამართლებრივი ასპექტები 32
2.3 კოსოვოსა და საქართველოს სეპარატისტული კონფლიქტების შედარებითი ანალიზი 37
III თავი - ჰუმანიტარული ინტერვენციის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები 43
3.1 ჰუმანიტარული ინტერვენციის რაობა, მისი განხორციელების წინაპირობები და კრიტერიუმები 47
3.2 ძალის გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები 50
3.3 საქართველოში რუსეთის სამხედრო ინტერვენციის პოლიტიკური და სამართლებრივი ანალიზი 53
დასკვნა 60
ბიბლიოგრაფია..... 67

შესავალი

თემის აქტუალობა - სეპარატიზმი თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ 21-ე საუკუნის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად. დღევანდელი მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობა პოლიეთნიკურია და დედამიწაზე დაახლოებით 5 ათასამდე ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობს. ეს ყოველივე უდიდესი საფრთხის მატარებელია დღევანდელი მსოფლიო წესრიგისთვის, რადგან აქტიურად წარმოიქმნება სეპარატიზმისა და სადავო ტერიტორიების ახალი კერები, რაც დომინოს პრინციპით შეიძლება გავრცელდეს დანარჩენ ქვეყნებზე. საგულისხმოა ის გარემოება, რომ სეპარატისტულ მოძრაობებს ახასიათებთ ერთმანეთის აქტიური მხარდაჭერა. მათი თვალთახედვით ერთი სეპარატისტული რეგიონის წარმატებაც კი ამკვიდრებს პრეცენტენტს, რომ სხვა სეპარატისტულ მოძრაობებსაც შეუძლიათ დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე წარმატების მიღწევა. ეს ყოველივე თავისმხრივ ზრდის სეპარატისტულ განწყობებს და ხელს უწყობს ახალი კერების ჩამოყალიბებას.

სეპარატისტული ჯგუფები თავისი სეცესიისკენ მიმართული ქმედებების გასამართლებლად იშველიებენ ერთა თვითგამორკვევის პრინციპს და ხშირ შემთხვევაში მას მათთვის სასურველი ინტერპრეტაციით წარმოაჩენენ. ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპი საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი ნორმაა. იგი გმობს ანექსიას და კოლონიალიზმის ისეთ ფორმებს როგორიცაა ვასალიტეტი და პროტექტორატი. ის კრძალავს დამონებასა და ექსპლოტაციას და არის გარანტორი მცირე ერების თავისუფალი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების. ამავე დროს თანამედროვე საერთაშორისო სამართალი წინააღმდეგია თვითგამორკვევის პრინციპის გამოყენების, თუ პატარა ერებს გააჩნიათ თანასწორუფლებიანობა სუვერენული სახელმწიფოს

ფარგლებში მცხოვრებ დანარჩენ მოსახლეობასთან და აქვთ საშუალება თავისუფლად გამოხატონ მათი პოლიტიკური თუ სოციალური ნებასურვილი. თვითგამორკვევა და სეცესიისკენ სწრაფვა დაუშვებელია თუკი ის არღვევს სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას, მისი საზღვრების ურღვეობის პრინციპს და აზიანებს სახელმწიფოს უშიშროებას. შესაბამისად, აგრესიული სეპარატიზმი თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის მოტივით გაუმართლებელია და არასდროს იქნება საერთაშორისო საზოგადოების მიერ მხარდაჭერილი.

სამწუხაროდ საქართველოც იმ ქვეყანათა შორისაა, რომელსაც აქვს სეპარატიზმთან დაკავშირებული პრობლემა. აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ნებისმიერი ქართველისთვის ყველაზე მტკივნეული თემაა და ამ საკითხზე საუბარი აქტუალობას არასოდეს კარგავს. საქართველოში ტერიტორიულ ნიადაგზე დაწყებული კონფლიქტი მესამე ძალის მიერ იყო ინსპირირებული. თავდაპირველად რუსეთის იმპერიის და შემდგომ საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელისუფლების მიერ აქტიურად მიმდინარეობდა ანტიქართული პროპაგანდა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. ეს ყოველივე მიზნად ისახავდა ქართველებსა და აფხაზებსა და ქართველებსა და ოსებს შორის დაპირისპირების გაჩენას და ამით ,,შენელებული მოქმედების ბომბის'' ჩადებას საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, რომლის გამოყენებაც შეეძლოთ მათთვის საჭირო მომენტში. მართლაც, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთმა გააქტიურა სეპარატისტული მოძრაობები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, რომლებმაც ძალადობრივი გზით დაიწყეს სეცესიისკენ სწრაფვა. რუსეთის ხელისუფლება მათ ეხმარებოდა როგორც მატერიალურად ასევე საბრძოლო ტექნიკით. ამასთანავე, სეპარატისტების მხარეს მებრძოლი ჩრდილო კავკასიელი ბოევიკების უკანაც რუსეთი იდგა. რუსეთის ხელისუფლება ამ გზით ცდილობდა საქართველოზე, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყანაზე თავისი გავლენების შენარჩუნებას და მისი

სახელმწიფოებრიობის შესუსტებას, რათა მარტივად სამართავი გამხდარიყო. მას შემდეგ რაც საქართველომ გეზი ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისკენ აიღო, რუსეთის პოზიცია მეტად ხისტი გახდა მასთან მიმართებაში. რუსეთმა საქართველოს დაახლოება ნატოსთან მისი უსაფრთხოებისთვის საფრთხისშემცველად აღიქვა და კვლავ გააქტიურა სეპარატისტული ძალები საქართველოს წინააღმდეგ. ამას მოჰყვა 2008 წლის აგვისტოს ომიც და რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარება. რუსეთმა ამ ნაბიჯით შეაფერხა საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია და შეინარჩუნა მასზე მოქმედი ბერკეტები. უკანონო, მცოცავი ბორდენიზაციითა და ოკუპირებული ტერიტორიების მახლობლად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების გატაცებით რუსეთი ცდილობს საქართველოში გამოიწვიოს არასტაბილურობა და ხელი შეუშალოს მის განვითარებას.

ამჟამად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევა ქვეყნის უმთავრესი შიდა პრობლემაა. ის ასევე უდიდესი დამაბრკოლებელი ფაქტორია საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებისთვის. შესაბამისად, ამ დროისთვის საქართველოს უპირველესი გამოწვევა სწორედ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და დეოკუპაციაა.

კვლევის მიზნები :

- სეპარატიზმის გავლენის შეფასება საქართველოს ეროვნულ და რეგიონალურ უსაფრთხოებაზე
- აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სეცესიისკენ სწრაფვის ლეგიტიმურობის დადგენა
- საქართველოში რუსეთის სამხედრო ინტერვენციის სამართლებრივი ანალიზი

კვლევის ამოცანები :

- აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში სეპარატისტული განწყობების ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიულ რაკურსში შესწავლა
- საერთაშორისო სამართალში ერთა თვითგამორკვევის პრინციპისა და აგრესიული სეპარატიზმის კომპლექსური ანალიზი
- ჰუმანიტარული ინტერვენციის ლეგიტიმაციისთვის საჭირო წინაპირობებისა და კრიტერიუმების განსაზღვრა

საკვლევი კითხვები :

- რა გავლენას ახდენს სეპარატიზმი საქართველოს ეროვნულ და რეგიონალურ უსაფრთხოებაზე?
- საერთაშორისო სამართლის მიხედვით რამდენად ლეგიტიმური იყო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სეცესიისკენ სწრაფვა?
- როგორ შეგვიძლია შევაფასოთ რუსეთის ინტერვენცია საქართველოში? ეს იყო აგრესიული სამხედრო ინტერვენცია საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ თუ ჰუმანუტარული ინტერვენცია, როგორც თავად რუსეთი განმარტავს.

ჰიპოთეზა - სეპარატიზმი უდიდესი საფრთხის შემცველია საქართველოს ეროვნული და რეგიონალური უსაფრთხოებისთვის. იგი არის უმთავრესი დამაბრკოლებელი მუხრუჭი საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სეცესიისკენ სწრაფვა ყველანაირი სახის ლეგიტიმაციას მოკლებულია. ეს ორი რეგიონი საუკუნეების მანძილზე წარმოადგენს საქართველოს განუყოფელ ნაწილს. რუსეთის ფედერაციის მიერ სეპარატისტული ჯგუფების წაქეზება და აქტიური მხარდაჭერა ერთადერთ მიზანს ემსახურება. ამ გზით რუსეთი ცდილობს საქართველოზე, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყანაზე შეინარჩუნოს თავისი გავლენა და არ დაუშვას მისი ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია.

კვლევის საგანი და ობიექტი :

კვლევის საგანი არის საქართველოს სეპარატისტული რეგიონები და მათი გავლენა ქვეყნის ეროვნულ და რეგიონალურ უსაფრთხოებაზე.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოში რუსეთის სამხედრო ინტერვენცია.

კვლევის მეთოდები :

- ისტორიულ მიმოხილვითი
- კონტენტ ანალიზი
- პროცესების შედარებითი ანალიზი
- მონაცემთა ანალიზი

თემის დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდოლოგია :

- ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია- უკავშირდება პოლიტიკური რეალიზმის კონცეფციას და მოიცავს სახელმწიფო უსაფრთხოების სექტორის შესახებ ძირითად გადაწყვეტილებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სახელმწიფოსა და საზოგადოების საგარეო და საშინაო უსაფრთხოებაზე.
- ცივილიზაციათა შეჯახების თეორია- ცნობილ ამერიკელ მეცნიერს სამუელ ჰანტიგტონს ეკუთვნის. ჰანტიგტონის აზრით, ცივი ომის დამთავრების შემდგომ ეპოქაში შეიქმნა პირობები ახალი და უკიდურესად საშიში კონფლიქტების წარმოშობისათვის, რაც დაკავშირებულია კულტურულ-რელიგიურ და ეთნიკურ განსხვავებებთან. ამ თეორიის თანახმად, თუ აქამდე ომები იმპერიებს, დინასტიებსა და იდეოლოგიებს შორის წინააღმდეგობების შედეგი იყო, მომავალში კონფლიქტების მთავარი მიზეზი ცივილიზაციათა შორის ეთნიკური დაპირისპირება გახდება.
- პოლ ბრასის ინსტრუმენტალიზმის თეორია- ეთნიკურობისა და ნაციონალიზმის კვლევა არის იმ პროცესის შესწავლა, რომელშიც ელიტების მიერ ხდება კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის კულტურული ასპექტების

არჩევა და მათთვის ახალი ღირებულებებისა და მნიშვნელობის მინიჭება, რომელსაც შემდეგ ელიტები იყენებენ თავიანთი ინტერესების დასაცავად კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის მობილიზაციისთვის ან სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან შეჯიბრისთვის.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა - ჩემს მიერ მოპოვებული მასალების საფუძველზე შევქმენი აკადემიური ხასიათის ნაშრომი, რომელიც აკმაყოფილებს სამაგისტრო თემის მოთხოვნებს.

ნაშრომი დააინტერესებს საქართველოს ეროვნული და რეგიონალური უსაფრთხოებით დაინტერესებულ პირებს. კერძოდ, მათ ვინც შეისწავლის აფხაზურ და ოსურ სეპარატიზმს. ამასთანავე, ნაშრომი თამამად შეიძლება იქნას გამოყენებული გზამკვლევად სეპარატიზმითა და ჰუმანიტარული ინტერვენციით დაინტერესებული სტუდენტებისთვის, რადგან მასში დეტალურადაა განხილული მათი ლეგიტიმაციისთვის საჭირო წინაპირობები და კრიტერიუმები.

თემის შესწავლა და სამეცნიერო სიახლე - იქიდან გამომდინარე, რომ დღევანდელობაში აფხაზური და ოსური სეპარატიზმი მეტად აქტუალური თემაა, იგი მრავალმხრივ არის შესწავლილი. კვლევები ჩატარებულია როგორც ისტორიულ, ასევე ეთნოპოლიტიკურ ჭრილში. შედარებით ნაკლები მასალა მოიპოვება საკითხის საერთაშორისო სამართლებრივი შეფასების კუთხით.

ჩემი სამაგისტრო ნაშრომი მიმოიხილავს როგორც კონფლიქტის წარმოშობის ისტორიულ, პოლიტიკურ და კულტურულ ასპექტებს, ასევე ძირითადი ნაწილი ეთმობა საკითხის საერთაშორისო სამართლებრივ ანალიზს. კერძოდ, ერთა თვითგამორკვევის პრინციპისა და ჰუმანიტარული ინტერვენციის ლეგიტიმურობის კრიტერიუმების მიხედვით გაანალიზებულია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სეცესიისკენ სწრაფვის ლეგიტიმურობა და საქართველოში რუსეთის სამხედრო ინტერვენციის მართებულობა.

ძირითადი ლიტერატურა

- გუგული მაღრაძისა და ვახტანგ მაისაიას წიგნი *,, 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების'' თეორია: მითი და რეალობა-რეგიონული და გლობალური ასპექტები''.* 2017 წელი, თბილისი. წიგნში განხილულია უსაფრთხოების თეორიის თავისებურებანი, ეროვნული უსაფრთხოების რაობა და საფრთხეების კლასიფიკაცია 21-ე საუკუნეში.
- ლევან ალექსიძის წიგნი *,,თანამედროვე საერთაშორისო სამართალი''.* თბილისი, 2010 წელი. მასში ერთ-ერთ თავად წარმოდგენელია ერთა თვითგამორკვევის პრინციპის ლეგიტიმაციის საკითხი და დეტალურადაა განხილული მისი კომპლექსურობა. კერძოდ როდისაა სეცესიისკენ სწრაფვა ლეგიტიმური და როდის არის მიჩნეული აგრესიულ სეპარატიზმად.
- ზურაბ დავითაშვილის წიგნი *,, ნაციონალიზმი და გლობალიზაცია''.* თბილისი, 2003 წელი. წიგნში ერთ-ერთ თავად განხილულია თანამედროვე ქართული ნაციონალიზმის ისტორიული წანამძღვრებები. ნაციონალიზმის ჭრილშია განხილული ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები და წარმოდგენილია მათი მოგვარების შესაძლო გზები.
- პიტერ მალანჩუკის წიგნი *,,აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი''.* 2005 წელი, თბილისი. მასში განხილულია თვითგამორკვევის და სახელმწიფოდ ცნობის ეტაპები, სამოქალაქო ომის დროს მოქმედი სამართლებრივი ნორმები, სამოქალაქო ომებში სხვა სახელმწიფოს ჩართულობა და მოამბოხეთა დახმარების სამართლებრივი შედეგები.

- *„საერთაშორისო სამართლის ორი ძირითადი პრინციპის - სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და ერთა თვითგამორკვევის შედარებითი ანალიზი კოსოვოსა და აფხაზეთის მაგალითზე".* ავტორები : ნიკა ჩიტაძე და ქეთევან ჯებისაშვილი. თბილისი, 2019 წელი. ნაშრომში განხილულია საერთაშორისო სამართლის ორი ძირითადი პრინციპის - ერთა თვითგამორკვევის უფლებისა და სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის დეტალური ანალიზი კოსოვოსა და აფხაზეთის კონფლიქტების მაგალითზე. ნაშრომში ნაჩვენებია ის ძირითადი განსხვავებები, რაც ამ კონფლიქტებს განსხვავებულ ჭრილში წარმოაჩენს.
- ხათუნა ბურკაძის სადისერტაციო ნაშრომი თემაზე *„ძალის გამოყენების სამართლებრივი ასპექტები საერთაშორისო სამართალში".* ნაშრომში წარმოდგენილია ჰუმანიტარული ინტერვენციის განხორციელებისთვის საჭირო წინაპირობები და კრიტერიუმები. ამასთანავე, განხილულია რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის სამართლებრივი ანალიზი.
- კახაბერ ყალიჩავას სადოქტორო ნაშრომი თემაზე: *„კოსოვო, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი - თანამედროვე კონფლიქტების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი".* ნაშრომში წარმოდგენილია კონფლიქტური რეგიონების ისტორიული განვითარების საერთო და განმასხვავებელი ტენდენციები. ქრონოლოგიური სიზუსტით არის წარმოდგენილი სეპარატისტული კერების გაჩენა და მათი განვითარება.
- *„The Justification for Humanitarian Intervention: Will the Continent Matter?"* Author/ YVONNE C. LODICO. 2001- მასში განხილულია ჰუმანიტარული ინტერვენციის რაობა, მისი სამართლებრივი ასპექტები, ლეგიტიმაციისთვის საჭირო წინაპირობები და კრიტერიუმები.
- *„Note on humanitarian intervention"* Author/ ROBERT KOLB. 2003 - მასში განხილულია ჰუმანიტარული ინტერვენციის ისტორიული რაკურსი,

წარმოდგენილია ჰუმანიტარული ინტერვენციის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა არგუმენტები.

ნაშრომის სტრუქტურა - ნაშრომი შედგება შესავალი ნაწილისგან, 3 თავისგან, 8 ქვეთავისგან, დასკვნითი ნაწილისგან და ბიბლიოგრაფიისგან. ჯამში იგი მოიცავს 70 გვერდს.

შესავალ ნაწილში წარმოდგენილია კვლევის გეგმა, განხილულია საკითხის აქტუალობა, კვლევის მიზნები და ამოცანები, ჩამოყალიბებულია საკვლევი კითხვები და ჰიპოთეზა. მიმოხილულია ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. გამოკვეთილია თემის დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდოლოგია და ძირითადი ლიტერატურული წყაროები.

პირველი თავი ეთმობა სეპარატიზმის განხილვას თანამედროვე ასიმეტრიული საფრთხის ჭრილში, რომელიც საფრთხისშემცველია ეროვნული და რეგიონალური უსაფრთხოებისთვის. ამ თავშივეა წარმოდგენილი საქართველოს წინაშე არსებული სეპარატისტული გამოწვევები და მათი დაძლევის პერსპექტივები.

მეორე თავი მოიცავს სეპარატიზმის საერთაშორისო სამართლებრივ ანალიზს. კერძოდ, მასში განსაზღვრულია სეპარატიზმის ლეგიტიმაციის საფუძვლები და მის მიხედვით განხილულია აფხაზური და ოსური სეპარატიზმი. ამასთანავე, წარმოდგენილია კოსოვოსა და საქართველოს სეპარატისტული კონფლიქტების შედარებითი ანალიზი.

მესამე თავში წარმოდგენილია ჰუმანიტარული ინტერვენციის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები და მისი ლეგიტიმაციისთვის საჭირო წინაპირობები და კრიტერიუმები. მათ მიხედვით არის შეფასებული საქართველოში რუსეთის სამხედრო ინტერვენციის მართებულობა.

დასკვნით ნაწილში შეჯამებულია ნაშრომში წარმოდგენილი ინფორმაცია და გამოკვეთილია კვლევის შედეგები.

I თავი - სეპარატიზმი, როგორც თანამედროვე ასიმეტრიული საფრთხე ეროვნული და რეგიონალური უსაფრთოებისთვის

ეროვნული უსაფრთხოება გულისხმობს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და შიდა პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას. იგი მიმართულია საფრთხეების განეიტრალებისკენ და ამასთანავე, სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ეკონომიკის მდგრადი განვითარებისკენ.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, როგორც წესი, ეფუძნება ინტერესებისა და ღირებულებების, ასევე საშინაო და საგარეო საფრთხეებისა და გამოწვევების ანალიზს, რასაც პოლიტიკური პრიორიტეტების განსაზღვრამდე მივყავართ. იგი მოიცავს ქვეყნის უსაფრთხოების გარემოს აღწერას, ეროვნული ღირებულებებისა და ინტერესების ჩამოყალიბებას; საფრთხეების, გამოწვევებისა და შესაძლებლობების ანალიზს და ქვეყნისთვის პრიორიტეტული საკითხების გამოკვეთას.

უსაფრთხოების თეორის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს საფრთხეების ტიპოლოგია და კლასიფიკაცია. 21-ე საუკუნის გლობალური უსაფრთხოების პირობებში გამოიკვეთა ახალი, მანამდე უცნობი მოვლენა ასიმეტრიული საფრთხის სახით. ასიმეტრიულობა წარსულის გამოცდილების არ ქონას ნიშნავს, ასიმეტრიული საფრთხეები კი ისეთი გამოწვევებია, რომლისგან

მომავალი საფრთხის მაშტაბებიც უცნობია.[1] ასიმეტრიული საფრთხეების რიცხვში შედის ტერორიზმი და ჰიბრიდული ომი.

დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთი უმთავრესი ასიმეტრიული გამოწვევა ეთნიკური სეპარატიზმია. იგი არის შეიარაღებული დაპირისპირების ფორმა, რომლის დროსაც ერთიანი ერი-სახელმწიფოს ფარგლებში ერთი ეთნიკური ჯგუფი იწყებს სამხედრო მოქმედებებს მეორე მხარის წინააღმდეგ. დაპირისპირება არ წყდება, სანამ ორივე მხარე არ გადანაწილდება უფრო მეტად ჰომოგენურ რეგიონში.[2]

ეთნიკური სეპარატიზმის გამოვლენის საფრთხის ქვეშ დგას მსოფლიოს მრავალი ქვეყანა. ის უდიდესი გამოწვევაა ეროვნული, რეგიონალური და საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის. სეპარატიზმი ქვეყნის შიგნით იწვევს არასტაბილურობას, რაც გამოიხატება სახელმწიფო ინსტიტუტების დასუსტებაში და ეკონომიკურ დაღმასვლაში. ქვეყნებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირის პირობებში, სახელმწიფოს შიდა არეულობას უარყოფითი ზეგავლენა აქვს რეგიონში მიმდინარე მოვლენებზე. სეპარატიზმის ჯაჭვური ბუნებიდან გამომდინა, მას საფრთხე მოაქვს საერთაშორისო უსაფრთხოებისთვისაც. სეპარატისტული მოძრაობები შესაძლებელია სხვა ქვეყნებშიც გააქტიურდნენ და დომინოს პრინციპით მოედონ მთელს მსოფლიოს. ეს რა საკვირველია საყოველთაო ანარქიამდე მიგვიყვანს.

საერთაშორისო თანამეგობრობა წინააღმდეგია სეპარატიზმის ყოველგვარი გამოვლინების, თუ ის არ ემყარება ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების მოტივს. ასეთ შემთხვევაშიც კი სეცესიური ქმედება უნდა იყოს კონფლიქტის გადაწყვეტის უკიდურესი მცდელობა და მანამდე

[1] გუგული მაღრაძე, ვახტანგ მაისაია. 2017. *21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების" თეორია: მითი და რეალობა-რეგიონული და გლობალური ასპექტები.* თბილისი: გამომცემლობა ,,უნივერსალი''გვ 25.

[2] იქვე გვ 57

გამოყენებული უნდა იყოს სიტუაციის დეესკალაციისთვის ყველა მშვიდობიანი დავის გადაჭრის მეთოდი.

1.1 სეპარატიზმის რაობა, მისი გამომწვევი მიზეზები და მასთან ბრძოლის პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები

სეპარატიზმი წარმოადგენს სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე კომპაქტურად მცხოვრები მცირერიცხოვანი ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფების მცდელობას - მიაღწიოს ამ სახელმწიფოს ფარგლებში მაქსიმალურ პოლიტიკურ ავტონომიას, ფედერაციაში ცალკე სუბიექტის სტატუსს ან საერთოდ გამოეყოს მას დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნით. საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით, სეპარატიზმის ყოველგვარი მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ სახელმწიფოს მთელი მოსახლეობის ნება-სურვილის გამომჟღავნებით (რეფერენდუმით ან პარლამენტის გადაწყვეტილებით). დაუშვებელია სეპარატისტული მოძრაობის მცდელობა, ძალით გამოეყოს სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიას და ხელყოს მისი ტერიტორიული მთლიანობა. აგრესიული სეპარატიზმის გამოვლინება ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.[3]

სეპარატიზმი ფრანგული სიტყვიდან მომდინარეობს და გამოყოფას ნიშნავს. იგი შეიძლება წარმოიშვას ეთნიკურ, კულტურულ ან რელიგიურ ნიადაგზე. მისი გამოწვევის უპირველესი მიზეზი ხალხთა ისტორიულ-კულტურული და რელიგიური განსხვავებულობაა, რაც შეიძლება გახდეს გაუცხოვებისა და

[3] ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი: ლექსიკონი-ცნობარი / [ავტ.: ლ. ალექსიძე (რედ.), ლ. გიორგაძე, მ. კვაჭაძე და სხვ.] - თბ., 2005 - 283გვ.

დაპირისპირების მიზეზი. სეცესია არის სეპარატიზმის უკიდურესი ფორმა, რომელიც მიზნად ისახავს გარკვეული ტერიტორიის სრულ პოლიტიკურ გამოყოფას არსებული სახელმწიფოსგან და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას. სეცესია დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ეროვნული სახელმწიფოს ფარგლებში ეთნიკური უმცირესობების ფუნდამენტური უფლებების მასობრივ დარღვევას. მაგალითად ასეთ მოვლენას მიეკუთნება ეთნიკური წმენდა და გენოციდი. ამასთან ერთად ამოწურული უნდა იყოს ეთნიკური კონფლიქტის მოგვარების ყველა მშვიდობიანი მცდელობა და კონფლიქტურ მხარეებს შორის ისე იყოს ვითარება გამწვავებული, რომ ჩაურევლობის შემთხვევაში არსებობდეს დიდი მსხვერპლის საფრთხე. სხვა დანარჩენ შემთხვევებში სეცესია ითვლება აგრესიულ აქტად, რომელიც მიმართულია სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და მისი საზღვრების ურღვეობის პრინციპის წინააღმდეგ.

სეცესია უნდა განვასხვავოთ დისმემბრაციისა და სეპარაციისაგან, რომლის დროსაც წარმოიშობა ახალი სახელმწიფო და ასევე ცესიისა და ანექსიისაგან, რომლის დროსაც სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილი გადადის სხვა სახელმწიფოს გამგებლობაში. დისმემბრაციის დროს სუვერენიტეტის მქონე სუბიექტის ადგილზე ჩნდება ახალი სევერენული ტერიტორიული ერთეულები. სეცესიის შემთხვევაში კი არსებობას განაგრძობს სუვერენიტეტის მქონე ადრე არსებული სუბიექტი. რაც შეეხება სეპარაციასა და სეცესიას შორის განსხვავებას, პირველ შემთხვევაში ტერიტორიის ნაწილის გამოყოფა ხდება, იმ სახელმწიფოს თანხმობით, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა ეს ტერიტორია. სეცესიის დროს კი გამოყოფა ხდება ცალმხრივად.[4]

[4] ხუხუა, გიორგი. 2000. *ფედერალიზმი როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი.* თბილისი: ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის მხარდაჭერითაა გამოცემული.გვ 403

დესმემბრაციისა და სეპარაციის შედეგად წარმოქმნილი ახალი სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლებრივი აღიარება არ წარმოადგენს პრობლემას, რადგან დესმემბრაციის შემთხვევაში აღარ არსებობს სუვერენიტეტის მქონე ადრინდელი სუბიექტი, ხოლო სეპარაციის შემთხვევაში გამოყოფა ხორციელდება სახელმწიფოს თანხმობით. ამ მხრივ სეცესია საერთაშორისო სამართლებრივ ლეგიტიმაციასაა მოკლებული, რადგან სუვერენული სახელმწიფოს ნების საწინააღმდეგოდ წარმოიშვება. სეცესიონისტური მისწრაფებების რეალიზაცია ბევრად უფრო ადვილია ფედერაციულ სახელმწიფოებში, რადგან ეთნიკური ან რელიგიური უმცირესობების უფლებების აღიარება და დაცვა საფუძვლად უდევს ფედერალურ იდეოლოგიას, რომლის მიხედვითაც ნებადართულია სურვილის შემთხვევაში სახელმწიფოსგან გამოყოფა.[5] სეცესიის პოლიტიკური და მორალური ლეგიტიმაციის შესახებ არსებობს 2 ძირითადი თეორია:

- სეცესიის პრაგმატული თეორიის თანახმად მაშინ არის სეცესია ლეგიტიმური თუ ადგილი აქვს მოსახლეობის ნაწილის უფლებების სისტემატიურ დარღვევას და გამოყოფის გარდა არ არსებობს სხვა საშუალება ეთნიკური უმცირესობების თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. სეცესიის მართლზომიერებისთვის სახეზე უნდა იყოს ორი პირობები: პირველ რიგში უმცირესობის ჯგუფები უნდა ცხოვრობდნენ ტერიტორიულად მკაფიოდ შემოსაზღვრულ სივრცეში. და ასევე, გააჩნდეთ ყველანაირი რესურსი, რომ დამოუკიდებლად შეძლონ ახალშექმნილი სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირება. ამასთან ერთად მკაცრადაა განსაზღვრული იმ ჯგუფთა წრე, რომლებსაც აქვთ სეცესიის სამართლებრივი უფლება. ამისთვის ისინი უნდა იყვნენ დისკრიმინაციის მსხვერპლნი, წარმოადგენდნენ უმცირესობას და

[5] იქვე გვ 404

ცენტრალური ხელისუფლების მიერ ადგილი ჰქონდეს მათი რეგიონის ეკონომიკურ „ძარცვას".[6]

- სეცესიის ლიბერალური თეორიის თანახმად, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისგან რეგიონის გამოყოფა დასაშვებია მაშინ, როდესაც მის მოთხოვნას გამოყოფის შესახებ რეფერენდუმში, არჩევნებში ან სხვა დემოკრატიული ფორმით ჩატარებულ გამოკითხვაში მხარს დაუჭერს უმრავლესობა. ამ თეორიის თანახმად სეცესია მაშინ არის ლეგიტიმური თუ ჯგუფი, რომელიც ესწრაფვის გამოყოფას სხვა მასში შემავალ სუბჯგუფებსაც მისცემს ამის შესაძლებლობას, წინააღმდეგ შემთხვევაში ავტომატურად კარგავს სეცესიის უფლებას. ლიბერალური თეორიის მიმდევრები აყალიბებენ შემდეგ აუცილებელ 2 წანამძღვრებას: 1) კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის დამოკიდებულება უნდა იყოს მშვიდობიანი. 2) სეცესიას, როგორც კონფლიქტის მოგვარებიის ერთ-ერთ ფორმას უნდა იწონებდეს ყველა მხარე. მათ შორის ცენტრალური ხელისუფლებაც. სეცესიის ლიბერალური თეორიის მიხედვით, მხოლოდ იმ სახელმწიფოს აქვს სეცესიის თავიდან აცილების შანსი, რომელიც კატეგორიულად არ გამორიცხავს სეცესიის შესაძლებლობას. სეცესიის უფლება ასახული უნდა იყოს ქვეყნის კონსტიტუციაშიც. სეცესია მაშინაა დაუშვებელი თუ „ახალი" უმცირესობების ჩაგვრა მოჰყვება ან რეგიონს არ აქვს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების შესაძლებლობა. სეცესიის უფლება უნდა გამოირიცხოს თუ სეცესიონისტებს პრეტენზია აქვთ ისეთ ტერიტორიაზე, რომელიც კულტურული, რელიგიური ან სამხედრო თვალსაზრისით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არსებული სახელმწიფოსთვის და თუ ქვეყნის მნიშვნელოვანი ეკონომიკური რესურსები მასშია თავმოყრილი[7]

[6] იქვე გვ 410-412
[7] იქვე გვ 412-413

სეცესიის მსგავსად, ირედენტიზმიც ქვეყნის ტერიტორიაზე კომფაქტურად დასახლებული ეროვნული უმცირესობების მოთხოვნაა ამ ქვეყნისგან გამოყოფის თაობაზე. ირედენტიზმის შემთხვევაში ამის მიზანი ისტორიულ სამშობლოსთან გაერთიანებაა და არა დამოუკიდებელ სუბიექტად ჩამოყალიბება. იგი ისეთივე საფრთხის მატარებელია, როგორც სეპარატიზმის სხვა დანარჩენი ფორმები.

რეგიონალური და საერთაშორისო ორგანიზაციები არალეგიტიმურად მიიჩნევენ აგრესიული სეპარატიზმის ყველა ფორმას და ამის დასადასტურებლად იღებენ სეპარატიზმის წინააღმდეგ დეკლარაციებს და კანონპროექტებს. ამასთანავე აქტიურად აფიქსირებენ განცხედებს, რომლებიც მიმართულია სეპარატისტული ძალების ქმედებების წინააღმდეგ.

1.2 საქართველოში არსებული სეპარატისტული გამოწვევები და მათი დაძლევის პერსპექტივები

საქართველო მსოფლიოს სხვა მრავალი ქვეყნის მსგავსად პოლიეთნიკური სახელმწიფოა. მის ტერიტორიაზე ცხოვრობს სხვადასხვა პერიოდში გადმოსახლებული არაქართველი ეროვნების მოსახლეობა. აქედან რამდენიმე მათგანი საქართველოს სასაზღვრო ზოლშია მოქცეული, თავისივე ეროვნების ხალხით დასახლებული სახელმწიფოების მეზობლად. მაგალითად ჯავახეთი, რომლის მოსახლეობაც ეთნიკურად სომეხი ეროვნებისაა ესაზღვრება - სომხეთს, ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელები- აზერბაიჯანს, ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ოსი მოსახლება - ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკას, პანკისელი ქისტები- ჩეჩნეთის ავტონომიურ რესპუბლიკას, ხუნძები - დაღესტნის ავტონომიურ რესპუბლიკას. სასაზღვრო ზოლში კომფაქტურად დასახლებული ეთნიკური უმცირესობები მიეკუთნება რისკ ფაქტორს, რადგან არსებობს სეპარატიზმისა და ირედენტიზმის

საფრთხე. სეპარატიზმის დროს ადგილი აქვს რეგიონის გამოსვლას ქვეყნის იურისდიქციიდან, ხოლო ირედენტიზმი არის ეთნიკური ნათესავობის საფუძველზე სეპარატისტული რეგიონის მეზობელ ქვეყანასთან მიერთება.[8] განვიხილოთ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები და მათგან მომავალი შესაძლო რისკები :

- აფხაზები და ოსები, რომლებმაც ღიად დაიწყეს სეპარატისტული გამოსვლები და დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის ბრძოლა.
- ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელები და ჯავახეთში მცხოვრები სომხები, რომლებმაც უბრალოდ გააჟღერეს მეზობელ რესპუბლიკებთან შეერთების სურვილი ეთნიკური ნათესავობის საფუძველზე.
- ყვარლის რეგიონში მცხოვრები ხუნძები და პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტები, რომლებიც არ არიან სეპარატიზმის რისკის მატარებლები.
- სხვა ეთნიკური ჯგუფები (რუსები,ბერძნები, ასირიელები, ქურთები და სხვა ეთნოსები), რომლებიც მიმოფანტულად ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე, შესაბამისად მათგან არ მომდინარებს სეპარატიზმის ან ირედენტიზმის საფრთხე.

აფხაზური და ოსური სეპარაზმის სათავეები უნდა ვეძებოთ მას შემდეგ, რაც საქართველოს სამეფო-სამთავროები რუსეთის იმპერიის შემადენლობა შევიდა. თავდაპირველად მეფის რუსეთის, შემდეგ კი საბჭოთა ცენტრალური ხელისუფლების ძალისხმევით აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში დაიწყო ანტიქართული პროპაგანდა. ამის ნათელი მაგალითი იყო 1862 წელს აფხაზთათვის რუსული გრაფიკის საფუძველზე შექმნილი დამწერლობა და 1907 წელს ლ. ვორონოვის ავტორობით გამოსული წიგნი სახელწოდებით ,,აფხაზეთი საქართველო არ არის''. მსგავსი პოლიტიკური ქმედებები ხორციელდებოდა ცხინვალის რეგიონშიც. 1843 წელს მეფის რუსეთის

[8] გორაშვილი, გიორგი. 2011. *ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა გვ 81.

ადმინისტრაციამ ოსეთის სამხედრო ოლქის შექმნით სეპარატისტული განწყობების მომწიფების წინაპირობა შექმნა. რუსეთის ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ რუსეთის კოლონიალური პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში უფრო გაიზარდა. საბჭოთა ხელისუფლება საქართველოს წინააღმდეგ იყენებდა აფხაზურ და ოსურ სეპარატიზმს და ამით ზღუდავდა საქართველოს დამოუკიდებლობისკენ სწრაფვას.[9] 1920-იანი წლებიდან მოყოლებული აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დაიწყო ანტიქართული სეპარატისტული გამოსვლები, რომელიც საბჭოთა რუსეთის მიერ იყო პროვოცირებული და მართული. ამის შედეგი იყო ქართულ მხარესა და აფხაზ სეპარატისტებს შორის საკონონმდებლო ომი. აფხაზებს თავიანთი სუვერენიტეტის გარანტად 1925 წლის აფხაზეთის სსრ-ს კონსტიტუცია მოყავდათ. ამგვარ ქმედებებს ადგილი არ ჰქონდა ცხინვალის რეგიონში, რადგან სამხეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს არ ჰქონია კონსტიტუცია. სამაგიეროდ, ოსი სეპარატისტები მოითხოვდნენ ცხინვალის რეგიონის ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანებას. ეს რა თქმა უნდა რუსეთის წისქვილზე ასხამდა წყალს, რადგან ჩრდილოეთ ოსეთი მის შემადგენლობაში შედიოდა. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზები და ოსები სარგებლობდნენ საქართველოს შემადგენლობაში ყოფნისას სხვადასხვა პრივილეგიებით, მათი სეპარატისტული განწყობები რუსეთის ზეგავლენით უფრო და უფრო ღვივდებოდა. 1980 წლებიდან მოყოლებული საქართველო აქტიურად იბრძოდა საბჭოთა კავშირისგან თავის დასახსნელად. საბჭოთა რუსეთის საპასუხო ნაბიჯი იყო 1990 წელს ამოქმედებული კანონი, რომლის მიხედვითაც საბჭოთა კავშირში შემავალი ნებისმიერი რესპუბლიკის მიერ მისი დატოვების შემთხვევაში ავტონომიურ ერთეულებს უფლება ეძლეოდათ

[9] ყალიჩავა, კახაბერ. თბილისი. *კოსოვო, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი - თანამედროვე კონფლიქტების კოსოვო, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი: თანამედროვე კონფლიქტების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი.* 2019 გვ 107.

რეფერენდუმის გზით თავად გადაეწყვიტათ სსრკ-ში დარჩენისა თუ წასვლის საკითხი.[10]

საბჭოთა რუსეთმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ შენელებული მოქმედების ნაღმები ჩაედო აფხაზური და ოსური სეპარატიზმის სახით. მართლაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს წინააღმდეგ ეს ბერკეტი აამოქმედა. თავდაპირველად სამხრეთ ოსეთში შემდეგ კი აფხაზეთში დაიწყო საბრძოლო შეტაკებები. რუსეთის ხელისუფლება აქტიურად უჭერდა მხარს აფხაზ და ოს სეპარატისტებს. მათ ეხმარებოდა როგორც მატერიალურად ასევე საბრძოლო ტექნიკით. რუსეთი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტური სიტუაციით ცდილობდა, საქართველოზე როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყანაზე შეენარჩუნებინა თავისი ზეგავლენა და არ დაეშვა მისი პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარება. შესაბამისად, რუსეთის ინტერესში შედიოდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში არსებული კონფლიქტის დაკონსერვებული სახით შენახვა, რომლის გამოღვიძებაც შეეძლო მისთვის ხელსაყრელ პერიოდში. მართლაც, მას შემდეგ რაც საქართველომ გამოთქვა ევრო-ინტეგრაციის სურვილი და დაუახლოვდა ნატოს, რუსეთმა ოსი სეპარატისტების მიერ მოწყობილი პროვოკაციების საშუალებით მოახერხა ქართული მხარის კვლავ კონფლიქტში ჩათრევა. 2008 წლის ომამდელ პერიოდში, ოსი სეპარატისტები აქტიურად ხსნიდნენ ცეცხლს ქართული სოფლების მისამართით. ამასთანავე, ავიწროვედნენ ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას და წვავდნენ მათ სახლ-კარებს. საქართველო იძულებული გახდა შეიარაღებულ კონფლიქტში ჩართულიყო საკუთარი მოქალაქეების უფლებების დასაცავად. რუსეთის მიზანსაც სწორედ ეს წარმოადგენდა, მან განაცხადა რომ ქართული მხარის მიერ ადგილი ჰქონდა ოსი მოსახლეობის ეთნიკურ წმენდას და საკუთარი მოქალაქეების უფლებების

[10] იქვე გვ 148-155

დასაცავად შედიოდა საქართველოს ტერიტორიაზე. რა საკვირველია, ეს იყო საქართველოს ტერიტორიის ანექსიის მცდელობა, რომელიც ჰუმანიტაული ინტერვენციის სახელს იყო ამოფარებული.

2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთმა სცნო აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ეს იქნა შეფასებული აგრესიულ აქტად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ. დღესდღეისობით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა მხოლოდ რუსეთის მარიონეტმა ქვეყნებმა - ნაურუმ, სირიამ, ნიკარაგუამ და ვენესუელამ. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს დიდი ზეგავლენა აქვს დსთ-ს ქვეყნებზე, არც ერთ მათგანს არ უღიარებია აფხაზეთი და ე.წ სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სუბიექტებად.

საერთაშორისო თანამეგობრობა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს, საქართველოს განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს, რომელიც რუსეთის ფედერაციის მიერ არის ოკუპირებული.

საქართველოს უმთავესი გამოწვევაა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და დეოკუპაცია. ამ მიზნის მისაღწევად უნდა გაიზარდოს საერთაშორისო არენაზე საქართველოს პოლიტიკური და დიპლომატიური აქტიურობა. მან ყველა შესაძლო პლათფორმის გამოყენებით უნდა შეახსენოს დასავლელ პარტნიორებს, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს სახელმწიფოს 20% დღემდე ოკუპირებულია და საქართველო ყოველდღიურად ებრძვის მცოცავ ბორდენიზაციას.

საქართველომ აფხაზებთან და ოსებთან კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიანი გზა აირჩია. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მკვიდრ მოსახლეობას განათლებისა და ჯანდაცვის სპეციალურ პაკეტებს სთავაზობს და ამით ცდილობს ჩატეხილი ხიდის გამთლიანებას. რა საკვირველია, აფხაზებისა და ოსების ეთნიკური შუღლი ქართველების მიმართ კვლავ ძალიან დიდია, მაგრამ მსგავსი პროექტების ხელშეწყობით ნელ-ნელა

შესაძლებელია მისი დაძლევა. აფხაზებმა და ოსებმა უნდა იცოდნენ რომ აქვთ საშუალება საქართველოსთან ერთად ევროპის დიდი ოჯახის წევრნი გახდნენ და ისარგებლონ ყველა იმ სიკეთეებით, რაც ამჟამად მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე ვრცელდება. მათ აქვთ სამი არჩევანი. ან უნდა გააგრძელონ საერთაშორისო სივრცისგან იზოლირებულად ცხოვრება, იქცნენ რუსეთის გუბერნიად ან საქართველოსთან რეინტეგრაციით გახდნენ დემოკრატიული ფასეულობების მქონე ქვეყნის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მიისწრაფვის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარებისკენ.

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მომხდარი კონფლიქტების მწარე გამოცდილების შემდეგ, საქართველო გაორმაგებული სიფრთხილით უნდა მოეკიდოს ეთნიკური უმცირესობების საკითხს. საყურადღებოა ჯავახეთისა და შიდა ქართლის ტერიტორია, რომელიც ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობით მჭიდროდაა დასახლებული.

ჯავახეთის იზოლირებულმა მდებარეობამ, მისმა ეთნიკურმა სურათმა, იქ არსებულმა რუსეთის სამხედრო ბაზამ და დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს დანარჩენ ნაწილთან დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურის სიმწირემ განაპირობა ამ რეგიონის ერთგვარი იზოლაცია საქართველოსგან. 1990 წლის დასაწყისიდან ცენტრალური ხელისუფლება ფაქტობრივად ვერ აკონტროლებდა ჯავახეთს. რეგიონი ნახევრად გასამხედროებული ადგილობრივი დაჯგუფების ,,ჯავახკის" მიერ იმართებოდა. 2007 წლამდე რუსეთს დიდი ზეგავლენა ჰქონდა ჯავახეთზე. რუსეთის ბაზა იყო რეგიონის ძირითადი დამსაქმებელი და განაპირობებდა რუსეთის ძლიერ ეკონომიკურ და სოციალურ კავშირს ადგილობრივ მოსახლეობასთან. ჩვეულებრივი მოვლენა იყო ბაზაზე მომუშავე ეთნიკურად სომეხი მოსახლეობისთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება. რუსული ბაზა იყო ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი რომელიც ხელს უშლიდა ჯავახეთის საქართველოსთან ინტეგრაციას. რუსეთი თავისი ინტერესების სასარგებლოდ

იყენებდა რადიკალურ ნაციონალისტურ ელემენტებს და ცდილობდა საქართველოს საწინააღმდეგოდ სეპარატიზმის გაღვივებას. რეგიონიდან რუსეთის ბაზის გაყვანის შემდეგ ვითარება შედარებით დასტაბილურდა. საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ პრეზიდენტის მიერ დანიშნული გავლენიანი გუბერნატორის მეშვეობით და ადგილობრივი ძალაუფლების მქონე პირებთან თანამშრომლობით თანდათანობით შეძლო კონტროლის დამყარება ჯავახეთზე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ერევანი ჯავახეთთან მიმართებაში ყოველთვის ფრთხილად და თავშეკავებულად იქცეოდა. იგი ირიდენტისტულ მისწრაფებებს არ ავლენდა, განსაკუთრებით იმ ფონზე რომ არეულ 1990 იან წლებში ჯავახეთის ეთნიკურად სომეხი მოსახლეობისგან მოდიოდა ამის მზაობა. სომხეთის მთავრობა ადგილობრივ ორგანიზაციებს ხშირად გაუკრიტიკებიათ მათდამი პასიური და გულგრილი დამოკიდებულების გამო.[11] ჯავახეთის მსგავსად ქვემო ქართლის რეგიონიც საყურადღებოა საქართველოსთვის. არის საშიშროება წარმოიშვას ეთნიკური და რელიგიური დაპირისპირება ეთნიკურად აზერბაიჯანელ, სომეხ და ქართველ მოსახლეობას შორის. ეს ყოველივე გამოწვეულია ადგილობრივ თემებს შორის კომუნიკაციის ნაკლებობით და გაუცხოებით. სიტუაციას ამწვავებს ნელი ინტეგრაციის პროცესი, ურთიერთუნდობლობა, ენის ბარიერი და რელიგიის მზარდი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ეთნიკურ უმცირესობებში სახელმწიფო ენის არცოდნა განსაკუთრებით მწვავე პრობლემაა, რაც შეუძლებელს ხდის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მათ სრულფასოვან ჩართულობას.[12]

---

[11] მეტრეველი, ეკატერინე. 2013. *ჯავახეთი - მთავარი ტენდენციების მიმოხილვა.* თბილისი. გვ 6-12

[12] ადგილობრივი თემების მონაწილეობით შემუშავებული სტრატეგია. 2011. *მშვიდობა,უსაფრთხოება და სტაბილურობა ქვემო ქართლში.* გვ 7-11

საქართველოს ეროვნულ დღის წესრიგში პრიორიტეტული ადგილი უნდა ეჭიროს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის საკითხს და ამის მისაღწევად უნდა გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები. პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს საგანმანათლებლო პროგრამებს და სახელმწიფომ ხელი შეუწყოს ქართული ენის პოპულარიზებას. ამასთანავე უზრუნველყოს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მშვიდობიანი თანაცხოვრება ერთმანეთის გვერდიგვერდ.

II თავი - სეპარატიზმის შეფასებითი ანალიზი საერთაშორისო სამართალში

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი გმობს აგრესიულ სეპარატიზმს. იგი წინააღმდეგია სუვერენული სახელმწიფოს ფარგლებში მცხოვრები პატარა ერების მიერ თვითგამორკვევის პრინციპის გამოყენების, თუ მათ აქვთ საშუალება თავისუფლად გამოხატონ თავიანთი პოლიტიკური თუ სოციალური ნებასურვილი და სარგებლობენ მოსახლეობის დარჩენილ ნაწილთან თანაბარუფლებიანობით. უფრო მეტიც, აგრესიული სეპარატიზმი წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო სამართლის 2 ძირითად პრინციპთან, როგორიცაა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობისა და საზღვრების ურღვეობის პრინციპი. დეტალურად განვიხილოთ ორივე მათგანი.

- სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის პრინციპი - ყველა სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოქმედებს მისი იურისდიქცია და არცერთ სხვა ქვეყანას არ აქვს უფლება დაარღვიოს მისი უზენაესობა. კერძოდ, სახელმწიფოს იურისდიქცია ვრცელდება მის საზღვრებში მოქცეულ სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო სივრცეზე, ასევე ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა პირზე დიპლომატიური კორპუსის გარდა, რომლებიც სარგებლობენ იმუნიტეტით. დაუშვებელია ქვეყნის

სუვერენიტეტის ხელყოფა სხვა სახელმწიფოს მიერ. აკრძალულია სამხედრო ოკუპაცია, ძალის გამოყენების პირდაპირი თუ ირიბი ღონისძიებები და ასევე მუქარის შემცველი რიტორიკა, რომელიც ქვეყნის სუვერენიტეტის წინააღმდეგ არის მიმართული. ნებისმიერი ქმედება, რომელიც ლახავს ქვეყნის იურისდიქციის უზენაესობას, არის მიჩნეული მართსაწინააღმდეგო აქტად და დაზარალებულ ქვეყანას ანიჭებს უფლებამოსილებას გამოიყენოს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული მექანიზმები საკუთარი ინტერესების დასაცავად. სახელმწიფოს საზღვრების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ დაინტერესებული ქვეყნების ინტერესების გათვალისწინებით, თანასწორუფლებიანი შეთანხმების საფუძველზე.[13]

- საზღვრების ურღვეობის პრინციპი - იგი ჰელსინკის თათბირზე საერთაშორისო სამართლის ცალკეულ პრინციპად გამოიყო და გახდა ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შედეგად მიღწეული პოლიტიკური და ტერიტორიული შეთანხმების შესრულების ერთგვარი გარანტორი. მის მიხედვით, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან ურღვევად მიიჩნიონ სხვა ქვეყნის ტერიტორიული საზღვრები და თავი შეიკავონ მისი ხელყოფისგან.

საერთაშორისო სამართალში ახალი სახლმწიფოს წარმოქმნა და მისი ცნობა-არცნობის საკითხი ყველაზე პრობლემური თემაა. კონსტიტუციური თეორიის თანახმად, რომლის ავტორები ანზილოტი და კენზელი არიან, საერთაშორისო სამართალში წარმონაქმნი არ ითვლება სახელმწიფოდ სხვა სახელმწიფოების მიერ მის საყოველთაოდ ცნობამდე. სახელმწიფო, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, უნდა ხასიათდებოდის შემდეგი თვისებებით:

- განსაზღვრული ტერიტორია - მნიშვნელოვანია სახელმწიფო მუდმივად აკონტროლებდეს ცხადად განსაზღვრულ ტერიტორიას და მასზე ვრცელდებოდეს მისი იურისდიქცია. ტერიტორია მოიცავს ხმელეთს, მის

[13]ალექსიძე, ლევან. 2010. *თანამედროვე საერთაშორისო სამართალი.* თბილისი: საგამომცემლო სახლი "ინოვაცია". გვ 41-43

ზევით არსებულ საჰაერო სივრცეს, მიწის ქვეშ არსებულ წიაღისეულს და თორმეტი მილის სიგანის ტერიტორიულ წყლებს, რომელიც სახელმწიფოს სახმელეთო სივრცეს აკრავს. სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს უზენაესობა გაატაროს სამართლებრივი და ფაქტობრივი ღონისძიებები მისი ტერიტორიის ფარგლებში და აუკრძალოს სხვა ქვეყნებს მისი თანხმობის გარეშე მასზე თავიანთი იურისდიქციის გავრცელება.[14]

- მუდმივი მოსახლეობა - ეს კრიტერიუმი ტერიტორიის კრიტერიუმთან არის პირდაპირკავშირში და სახელმწიფოს არსებობის ფიზიკურ საფუძველს წარმოადგენს. ანტარქტიდა სწორედ მუდმივი მოსახლეობის არ ყოლის გამო არ შეგვიძლია მივიჩნიოთ სახელმწიფოდ. სახელმწიფო თავისი შიდა კანონით მოქალაქეობის შესახებ თავად განსაზღვრავს მუდმივი მოსახლეობის ცნებას. დღესდღეისობით სახელმწიფოებს პოლიეთნიკური მოსახლეობა ჰყავთ, შესაბამისად აფსურდულია ერი-სახელმწიფოს მოძველებური კონცეფცია, რომელიც სახელმწიფოსგან ეთნიკურ, რელიგიურ, კულტურულ და ლინგვისტიკურ ერთგვაროვნებას მოითხოვს.[15]
- მთავრობის მიერ განხორციელებული ეფექტური კონტროლი- სახელმწიფოს მთავრობამ უნდა შექმნას და შეინარჩუნოს სამართლებრივი წესრიგი მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე და ეცადოს საერთაშორისო ასპარეზზე სხვა ქვეყნებისგან დამოუკიდებლად გაატაროს საკუთარი ინტერესები. საერთაშორისო სამართალი მნიშვნელობას არ ანიჭებს სახელმწიფოთა შიდაპოლიტიკური სტრუქტურას. მთავარია, მთავრობა რეალურად იყოს შექმნილი.
- სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამყარების უნარი- ახალი წარმონაქმნი არ განიხილება სახელმწიფოდ, თუ თავისი კონსტიტუციური სისტემის ფარგლებში არ აქვს უფლებამოსილება და

[14]მალანჩუკი, პიტერ. 2005. *აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი.* თბილისი: გამომცემლობა ''დიოგენე'' გვ 93
[15] იქვე. გვ 94-95

ამასთანავე პოლიტიკური, ტექნიკური და ეკონომიკური შესაძლებლობა საერთაშორისო ურთიერთობები დაამყაროს სხვა სახელმწიფოებთან.[16]

2.1 სეპარატიზმის არსი საერთაშორისო სამართალში და მისი ლეგიტიმაციის საფუძვლები

სეპარატიზმი არის პირთა ცალკეული ჯგუფის მიერ განცალკევების მოთხოვნა, რომელიც დაფუძნებულია ეთნიკურ, რელიგიურ, კულტურულ ან პოლიტიკურ ასპექტებზე. როგორც წესი, ამ ტერმინით აღწერენ რეგიონის სურვილს გამოეყოს მმართველ ქვეყანას, იქცეს დამოუკიდებელ სუბიექტად და ჩამოაყალიბოს საკუთარი მთავრობა.

საერთაშორისო სამართალში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპი. ხშირ შემთხვევაში, სწორედ ამ პრინციპს ასახელებენ სეპარატისტული რეგიონები თავიანთი სეცესიისკენ მიმართული ქმედებების გასამართლებლად. რეალურად, საერთაშორისო სამართლის მიხედვით ხალხთა თვითგამორკვევის უფლება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული ქვეყნის შიგნით მცხოვრები ეთნიკური ჯგუფები არ სარგებლობენ დანარჩენ მოსახლეობასთან მიმართებაში თანასწორუფლებიანობით და მკვეთრად ილახება მათი თავისუფალი აზრის გამოთქმის და პოლიტიკური ნებასურვილის გამოხატვის უფლება. ამასთანავე, თუ ისინი განიცდიან სახელმწიფოსგან ზეწოლას და ილახება მათი თვითმყოფადობა.[17] ასეთ შემთხვევაში საერთაშორისო სამართალი აძლევს მათ

[16] იქვე. გვ 98

[17]ალექსიძე, ლევან. 2010. *თანამედროვე საერთაშორისო სამართალი.* თბილისი: საგამომცემლო სახლი ''ინოვაცია''. გვ 45-51

ლეგიტიმაციას იბრძოლონ თავიანთი უფლებების დასაცავად და საჭიროების შემთხვევაში მოითხოვონ დამოუკიდებლობაც. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სეცესია არის უკიდურესი ფორმა და მხოლოდ მაშინ არის მხარდაჭერილი საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ თუ კონფლიქტის მოგვარების ყველა მშვიდობიანი მეთოდი ამოწურულია და იმდენად მწვავეა კონფლიქტურ მხარეებს შორის მდგომარეობა, რომ მათი თანაცხოვრება ერთი სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის პრინციპზე მაღლა დგება.

დღესდღეისობით მსოფლიოს მაშტაბით 400 მეტი კონფლიქტური რეგიონი არსებობს, რომლისგანაც მომდინარეობს სეპარატიზმის საფრთხე. ისინი შენელებული მოქმედების ნაღმებად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომლებიც ნებისმიერ წუთს შეიძლება ამოქმედდნენ. მათგან მომავალი ყველაზე დიდი საშიშროება კი მათ ჯაჭვურ რეაქციაში მდგომარეობს. ერთი ქვეყნის სეპარატისტული რეგიონის მიერ წარმატების მიღწევის შემთხვევაში, დამკვიდრდება პრეცენდენტი, რომ სხვა სეპარატისტულ ძალებსაც აქვთ შანსი დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე წარმატების მიღწევის. ეს ყოველივე დიდი ალბათობით გამოიწვევს სხვა ქვეყნებში სეპარატისტული განწყობების მომრავლებას. სეპარატისტული მოძრაობები უფრო თამამად დაიწყებენ სეცესიისკენ მიმართული ქმედებების განხორციელებას, რაც გამოიწვევს მსოფლიოში კონფლიქტის ახალი კერების ჩამოყალიბებას. ეს ყოველივე უდიდეს საფრთხეს შეუქმნის დღევანდელ მსოფლიო წესრიგს და შესაძლოა მსოფლიო ანარქიამდე მიიყვანოს.

სწორედ ამ მიზეზების გამო, საერთაშორისო სამართალი სასტიკად ეწინააღმდეგება აგრესიულ სეპარატიზმს, რომელიც თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის მოტივით ცდილობს ხელყოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა. თვითგამორკვევის უფლება და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის მოთხოვნა არ არის დასაშვები, თუ იგი არ ემყარება ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის უკიდურეს ფორმას და რეალურად მიმართულია სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევისკენ.

2.2 აფხაზური და ოსური სეპარატიზმის სამართლებრივი ასპექტები

ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტი არ მიეკუთვნება ეთნიკური კონფლიქტის იმ კლასიკურ მაგალითს, რომელიც ყალიბდება ერი-სახელმწიფოს მიერ ეთნიკური უმცირესობის უფლების შეზღუდვის საფუძველზე. იმ პერიოდში, როდესაც დაიწყო აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში სეპარატისტული განწყობების ჩამოყალიბება, ქართული ეროვნული სახელმწიფო არ არსებობდა. თავდაპირველად ის ჯერ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, შემდეგ კი საბჭოთა კავშირში შედიოდა. შესაბამისად, აფხაზები და ოსები თავიანთ ნაციონალიზმს ქართული მხარის ქმედებების საპასუხოდ ვერ შეიმუშავებდნენ. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აფხაზებსა და ოსებს არ სურდათ ყოფილიყვნენ ქართულ სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფი ეროვნული უმცირესობები. ქართული მხარე კი გამოთქვამდა მზაობას ცხინვალის რეგიონისთვის მიეცა კულტურული ავტონომიისთვის დამახასიათებელი უფლებების მაქსიმუმი, ხოლო აფხაზეთის შემთხვევაში პოლიტიკურ ავტონომიაზეც იყო თანახმა.

მთავარი იყო შენარჩუნებულიყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და საზღვრების ურღვეობის პრინციპი.[18]

ზურაბ დავითაშვილი თავის წიგნში ,,ნაციონალიზმი და გლობალიზაცია'' აყალიბებს აფხაზებისა და ოსების მიერ გამოთქმულ მთავარ არგუმენტებს, თუ რატომ არ უნდათ საქართველოს ტერიტორიულ შემადგენლობაში ყოფნა.

- აფხაზი და ოსი სეპარატისტები ამტკიცებენ, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველო არ არის. აფხაზები თვლიან, რომ საუკუნეების მანძილზე აფხაზეთი დამოუკიდებელი სამთავრო იყო, დამოუკიდებლადვე შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა აფხაზეთის სოციალისტური რესპუბლიკა და სსრკ-ს ქართველი ლიდერების- სტალინისა და ბერიას თვითნებობის შედეგად აღმოჩნდა საქართველოს შემადგენლობაში. ქართულ მხარეს უამრავი ისტორიული წყარო მოჰყავს, რომლის მიხედვითაც მტკიცდება, რომ საუკუნეების მანძილზე აფხაზეთი იყო საქართველოს განუყოფელი ნაწილი და იხმარებოდა დასავლეთ საქართველოს აღმნიშვნელ ტერმინად. მე-15 საუკუნეში საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიშალა. ერთ-ერთი მათგანი იყო აფხაზეთის სამთავროც. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაშიც საქართველოს ყველა სამეფო-სამთავრო ცალ-ცალკე შევიდა. რაც შეეხება საბჭოთა რესპუბლიკის წლებში აფხაზეთის სტატუსის დაღმასვლას, ქართული მხარე მიიჩნევს, რომ აფხაზეთის სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა დროებითი მოვლენა იყო, რაც დამახასიათებელი იყო იმ პერიოდისთვის. სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში საქართველოს ბევრად ხისტი პოზიცია აქვს. შიდა ქართლის ტერიტორიაზე ოსი ეროვნების მოსახლეობა მე-17 საუკუნედან ჩნდება. ოსები მიიჩნევენ, რომ მართალია ცხინვალის რეგიონი წარსულში საქართველოს ტერიტორიის შემადგენელი ნაწილი იყო, მაგრამ დროთა

[18] დავითაშვილი, ზურაბ. 2003. *ნაციონალიზმი და გლობალიზაცია.* თბილისი: ფონდი ''ღია საზოგადოება-საქართველო''.გვ 407

განმავლობაში რეგიონის ეთნიკური სტრუქტურა შეიცვალა და ამჟამად ოსი ეროვნების ხალხითაა დასახლებული, შესაბამისად მათ აქვთ უფლება გავიდნენ საქართველოს შემადგენლობიდან და რუსეთის შემადგენლობაში მყოფ ჩრდილოეთ ოსეთს შეუერდნენ. ქართველებს ეს ყოველივე უმადურობის გამოვლენად მიაჩნიათ და არალეგიტიმურად მიიჩნევენ ოსების ამგვარ მოთხოვნას.[19]

- აფხაზები და ოსები ირწმუნებიან, რომ საქართველოს შემადგენლობაში ყოფნისას იყვნენ ქართველების მიერ ეთნიკური ჩაგვრისა და დისკრიმინაციის მსხვერპლნი. ამის მთავარი შემოქმედნი კი საბჭოთა კავშირის ქართველი ეროვნების წარმომადგენელი დიქტატორები - სტალინი და ბერია იყვნენ, რომლებიც ატარებდნენ ქართულ შოვინისტურ პოლიტიკას. აფხაზები ქართველებს ბრალს დემოგრაფიულ ექსპანსიაში სდებენ, მათი თქმით 1886 წელს აფხაზეთის მოსახლეობის 85%-ს თავად წარმოადგენდნენ, ქართველები კი 8%-ს შეადგენდნენ. 1989 წელს კი აფხაზები მოსახლეობის 17,8% დარჩნენ, როდესაც ქართველი მოსახლეობის ხვედრითი წილი 45,7%-მდე გაიზარდა. ქართული მხარის მონაცემებით 1886 წლის მონაცემებში აფხაზეთის აღმოსავლეთ ნაწილის- სამურზაყანოს მთლიანი მოსახლეობა აფხაზებად არის ჩათვლილი, როდესაც ეთნიკურად ქართველები (მეგრელები) იყვნენ. შესაბამისად, სინამდვილეში აფხაზები შეადგენდნენ 41%-ს, ქართველები 51%-ს და რუსებისა და სომხების ხვედრითი წილი 1,5-1.5 % არ სცდებოდა. აფხაზური მხარე მიიჩნევს, რომ 40-50 იან წლებში აფხაზეთში ქართველების მასობრივი ჩასახლება დაიწყო. მათ მიერ წარმოდგენილი მონაცემებით ეს იყო 150-200 ათასი ქართველი. სინამდვილეში, სსრკ-ს ცენტრალური მთავრობის გადაწყვეტილებით აფხაზეთში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურის განსავითარებლად ჩამოასახლეს 25 ათასი ქართველი, რუსი ეროვნების

[19] იქვე. გვ 408-409

მოსახლეობასთან ერთად. ამგვარი ღონისძიებები მთელი საბჭოთა კავშირის მაშტაბით ხორციელდებოდა და აფხაზეთი არ წარმოადგენდა გამონაკლისს.[20]

- აფხაზები ქართველებს ბრალს სდებენ აფხაზური ანბანის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანაში და აფხაზური სკოლების ქართულ სკოლებად გადაკეთებაში. აფხაზური ანბანი 1892 წელს იქნა შედგენილი და რამდენჯერმე განიცადა ცვლილება. იგი თავდაპირველად ქართულ, შემდეგ რუსულ, 20-იან წლებში ლათინურ და 30-იან წლებში რუსულ გრაფიკაზე ფუნქციონირებდა. 1938 წელს იგი ისევ ქართულ დამწერლობაზე გადავიდა, როგორც საქართველოში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკის ენა. სტალინის და ბერიას სიკვდილის შემდეგ კი ისევ რუსულ გრაფიკას დაუბრუნდა. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მხრიდამ არავის გამოუთქვამს პრეტენზია. რაც შეეხება აფხაზური სკოლების ქართულ სკოლებად გადაკეთებას, ვითარება შემდეგში მდგომარეობდა: აფხაზურ სკოლებში მხოლოდ დაწყებით კლასებში მიმდინარეობდა სწავლა აფხაზურ ენაზე, ხოლო მაღალ კლასებში სწავლება რუსულ ენაზე გრძელდებოდა. 1938 წლის მოსკოვის დადგენილებით, სწავლება მთელს საბჭოთა კავშირში უნდა გადასულიყო რუსულ ან მოკავშირე რესპუბლიკის ენაზე. შესაბამისად, ქართულმა ენამ მხოლოდ რუსული ენა ჩაანაცვლა და აფხაზურ ენას არ შეხებია, დაწყებით კლასებში სწავლება ისევ აფხაზურად მიმდინარეობდა, მაღალ კლასებში კი აფხაზურს საგნად სწავლობდნენ. აღსანიშნავია, რომ რსფსრ-ს ავტონომიური რესპუბლიკები აქტიურად გადავიდნენ რუსული ენით სწავლებაზე და მხოლოდ დამატებით საგნად გადიოდნენ თავიანთ ენას, შესაბამისად მათთან შედარებით აფხაზები პრივილეგიებით სარგებლობდნენ. ქართული ენა აფხაზურ სკოლებში 1954 წლის შემდეგ საერთოდ აღარ ისწავლებოდა და უსაფუძვლოა მათი მხრიდან ქართული ენეს ექსპანსიაზე საუბარი. 1989 წლის აღწერით აფხაზთა მხოლოდ

[20] იქვე გვ 411-413.

1.9% ფლობდა ქართულ ენას, როდესაც რუსული 81.5% იცოდა, შესაბამისად ასიმილაციას აფხაზები რუსებისგან განიცდიდნენ და არა ქართველებისგან.რაც შეეხება სამხრეთ ოსეთს, აქ 94 ოსური სკოლა ფუნქციონირებდა, როდესაც ოსების ისტორიულ სამშობლოში - ჩრდილოეთ ოსეთში არც ერთი ოსური სკოლა არ არსებობდა. დაწყებით კლასებში სწავლა ოსურ ენაზე მიმდინარეობდა, შემდეგ კი რუსულ ენაზე გრძელდებოდა. ქართული ენა ოსურ სკოლებში საერთოდ არ ისწავლებოდა. ქართული მხარის მიერ ოსური მოსახლეობის დისკრიმინაციას ადგილი არ ჰქონია. პირიქით, სწორედ სამხრეთ ოსეთში ვითარდებოდა ოსური კულტურა. მას შემდეგ რაც დაიწყო საბჭოთა კავშირის რღვევა, თავი იჩინა აფხაზებისა და ოსების სეპარატისტულმა გამოსვლებმა. მათ ქართულ ეროვნულ სახელმწიფოში ეთნიკური უმცირესობის სტატუსი არ აკმაყოფილებდათ.[21]

როგორც ვხედავთ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს არ ჰქონდათ სამართლებრივი საფუძველი, რათა მოეთხოვათ საქართველოსგან გამოყოფა და დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბება. ქართველების მიერ ადგილი არ ჰქონია მათი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ან კულტურული უფლებების შეზღუდვას. პირიქით, საბჭოთა კავშირში აფხაზეთი ერთადერთი ავტონომიური რესპუბლიკა იყო, სადაც ადგილობრივ ენას- აფხაზურს სახელმწიფო ენის სტატუსი ქონდა. აფხაზებს გააჩნდათ საკუთარი უნივერსიტეტიც, მაგრამ რეალურად ეს რუსული უნივერსიტეტი უფრო იყო აფხაზი ეროვნების სტუდენტებისთვის, რადგან საუნივერსიტეტო საგნების მასალები აფხაზურ ენაზე არ მოიპოვებოდა. ეს ყოველივე გასაკვირი არც იყო, რადგან აფხაზურ სკოლებშიც კი აფხაზურ ენაზე სწავლება მხოლოდ დაწყებით კლასში მიმდინარეობდა. შემდეგ კი რუსულ ენას ჰქონდა მონოპოლია ხელში ჩაგდებული. აფხაზი ეროვნების პირები დიდი

[21] დავითაშვილი, ზურაბ. 2003. *ნაციონალიზმი და გლობალიზაცია.* თბილისი: ფონდი ''ღია საზოგადოება-საქართველო''გვ 408-417.

პრივილეგიებით სარგებლობდნენ, მათ ეკავათ თითქმის ყველა მნიშვნელოვანი თანამდებობა აფხაზეთში. ჰქონდათ რადიომაუწყებლობა და ტელევიზია აფხაზურ ენაზე, მოსახლეობის რაოდენობასთან შეფარდებით მშობლიურ ენაზე წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გამოცემით პირველი იყვნენ საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის. [22]

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიერ სეცესიისკენ სწრაფვა ცალსახად იყო აგრესიული სეპარატიზმის გამოვლინება, შესაბამისად ვერანაირ შემთხვევაში ვერ იქნებოდა მხარდაჭერილი საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ.

2.3 კოსოვოსა და საქართველოს სეპარატისტული კონფლიქტების შედარებითი ანალიზი

თანამედროვე კოსოვოს ტერიტორია საუკუნეების მანძილზე შედიოდა სერბეთის სამეფოს შემადგენლობაში. მას შემდეგ რაც სერბეთი ოსმალეთის იმპერიამ დაიპყრო და საკუთარ შემადგენლობაში შეიყვანა, კოსოვოს ტერიტორიაზე ჩამოასახლეს ეთნიკურად ალბანელი მოსახლეობა. 1878 წელს სერბეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა ოსმალეთისგან და შევიდა იუგოსლავიის სამეფოს შემადგენლობაში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იუგოსლავიაში დამყარდა კომუნისტური დიქტატურა, იგი აერთიანებდა 6 სოციალისტურ რესპუბლიკას. ერთ-ერთი იყო სერბეთი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა კოსოვოს ავტონომიური მხარე. 1989 წელს იუგოსლავიის პრეზიდენტმა სლობოდან მილოშევიჩმა გააუქმა კოსოვოს ავტონომია, რამაც გამოიწვია შემდგომი სისხლისმღვრელი დაპირისპირება. დაიწყო შეტაკებები კოსოვოს განმათავისუფლებელ არმიასა და სერბეთის პოლიციას შორის. კოსოვოელი ალბანელები სერბეთისგან სრულ დამოუკიდებლობას ითხოვდნენ. კონფლიქტის კულმინაციამ 1998 წელს

[22] იქვე. გვ 408- 416

მიაღწია, როდესაც ღია კონფლიქტს ემსხვერპლა 1500-მდე ადამიანი, ხოლო 400 ათასამდე პირი იძულებული გახდა დაეტოვებინა საკუთარი საცხოვრებელი სახლები. სიტუაციის ნორმალიზაციის პროცესში ნატო ჩაერთო. იგი ეცადა ყველანაირი მშვიდობიანი გზის გამოყენებას კონფლიქტის მოსაგვარებლად, მაგრამ მილოშევიჩი არ წყვეტდა კოსოვოელი ალბანელების ეთნიკურ წმენდას. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნატო, ეუთო, ამერიკის შეერთებული შტატები და ბალკანეთის საკონტაქტო ჯგუფი ცდილობდა დიპლომატიური გზით შეეჩერებინა სისხლისღვრა და დაესტაბილურებინა კონფლიქტური სიტუაცია. მიუხედავად მათი ძალისხმევისა, მოლაპარაკებებმა შედეგი ვერ გამოიღო. საბოლოოდ, ნატომ მიიღო სამხედრო ინტერვენციის გადაწყვეტილება. ნატოს ავიაციის მიერ საჰაერო იერიში გრძელდებოდა, სანამ იუგოსლავიის შეიარაღებულმა ძალებმა არ დატოვა კოსოვოს ტერიტორია. სამხედრო დაპირისპირების აღკვეთის შემდეგ აქტუალური გახდა კოსოვოს სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა. შეიქმნა გაეროს ადმინისტრაცია კოსოვოში, რომელიც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მშვიდობის უზრუნველსაყოფად საჭირო იყო კოსოვოსთვის დამოუკიდებლობის მინიჭება. დღესდღეისობით კოსოვოს დამოუკიდებლობა სცნო 100-ზე მეტმა ქვეყანამ, მაგრამ ის დღემდე არ არის საერთაშორისო სამართლის სრულფასოვანი სუბიექტი. ეს ყოველივე გამოწვეულია იმით, რომ კოსოვო არ არის გაეროს წევრი ქვეყანა. გაეროს უშიშროების 2 მუდმივი წევრი : რუსეთი და ჩინეთი კოსოვოს მიიჩნევს სერბეთის განუყოფელ ნაწილად და მათი თანხმობის გარეშე შეუძლებელია კოსოვოს გაეროში გაწევრიანება.[23]

კოსოვოს პრეცენდენტს ხშირად იყენებენ სეპარატისტული რეგიონები და მათი ,,მფარველი'' სახელმწიფოები თავიანთი სეცესიისკენ მიმართული

[23] ბურკაძე, ხათუნა. 2011. *ძალის გამოყენების ასპექტები საერთაშორისო სამართალში.* თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ 91-97

ქმედებების გასამართლებლად. ამის კარგი მაგალითია აფხაზეთის სეპარატისტული რეგიონი, რომელიც საუკუნეების მანძილზე იყო საქართველოს განუყოფელი ნაწილი. მე-15 საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველო დაიშალა 3 სამეფოდ და 5 სამთავროდ. მათგან ერთ-ერთი იყო აფხაზეთის სამთავროც. შემდგომ პერიოდში, ქართული სამეფო-სამთავროები შევიდნენ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, აფხაზეთი საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა. საქართველოში დემოკრატიული წესწყობილების დამხობისა და კომუნისტური რეჟიმის იძულებით დამყარების შემდეგ აფხაზეთში მომრავლდა სეპარატისტული განწყობები, რომელიც საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელისუფლების მიერ იყო ინსცენირებული. საბჭოთა კავშირის ფარული წაქეზებით ეთნიკური აფხაზები გამოთქვამდნენ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობიდან გასვლის სურვილს. ეს მოთხოვნა წინააღმდეგობაში მოდიოდა, როგორც ისტორიულ სამართლებრივ პრინციპთან, ასევე აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობის ნებასთან. იმ პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის 44% იყო ეთნიკურად ქართველი, ხოლო აფხაზთა პროცენტული შემადგენლობა 17%-ით განისაზღვრებოდა. 1992 წელს აფხაზეთის სეპარატისტულმა ძალებმა ისარგებლეს საქართველოში მიმდინარე სამოქალაქო დაპირისპირებით და მიიღეს დადგენილება საქართველოს შემადგენლობიდან გასვლის თაობაზე. ეს დადგენილება ვერ იქნებოდა ლეგიტიმური იმ ფონზე, როდესაც საკონსტიტუციო ცვლილებას დეპუტატთა არანაკლებ 2/3-ის მხარდაჭერა სჭირდებოდა. ხოლო იმ პერიოდში სხდომას ესწრებოდა მხოლოდ დეპუტატთა ნახევარი და მათ შორის არ იყვნენ ეთნიკურად ქართველები. აფხაზეთში დაიწყო სამხედრო მოქმედებები. რუსეთს არც კი უცდია კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება, პირიქით იგი აფინანსებდა

სეპარატისტულ ფორმირებებს აფხაზეთში და ამასთანავე მათ დასახმარებლად გამოუშვა ჩრდილოკავკასიელი ბოევიკები. ადგილი ჰქონდა ქართული მოსახლეობის ეთნიკურ წმენდას, რაც დადასტურდა ეუთოს ბუდაპეშტისა და ლისაბონის სამიტებზე.[24]

რაც შეეხება სამხრეთ ოსეთს, აქ ცალსახად ადგილი ჰქონდა ირედენტიზმის მცდელობას. იგი გულისხმობს ქვეყნის საზღვრის გარეთ დარჩენილ ხალხთა გაერთიანებას. ცხინვალის რეგიონში მცხოვრებმა ოსებმა წამოაყენეს მოთხოვნა ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანების და ერთიანი ოსური სახელმწიფოს ჩამოყალიბების შესახებ. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ჩრდილოეთ ოსეთი არის რუსეთის ფედერაციის შემადგენელი ნაწილი და დამოუკიდებელი ოსური სახელმწიფოს შექმნა რეალობასაა აცდენილი. მაგრამ ოსი სეპარატისტები რუსეთის შემადგენლობაში მყოფი ერთიანი ოსეთის არსებობაზეც თანახმა არიან. რა საკვირველია, ეს ყოველივე მიუღებელია ქართული მხარისთვის. მითუმეტეს იმიტომ, რომ ცხინვალის რეგიონში ოსური დასახლებები მხოლოდ მე-17 საუკუნიდან ჩნდება, ათასწლეულების მანძილზე კი იქ ქართველი ეროვნების მოსახლეობა ცხოვრობდა. აფხაზეთის მსგავსად, ცხინვალის რეგიონშიც სეპარატისტული განწყობების ჩამოყალიბება მოსკოვის ძალისხმევით დაიწყო. ათწლეულების მანძილზე აქტიურად მიმდინარეობდა ანტიქართული პროპაგანდა, რამაც საბოლოოდ შედეგი გამოიღო. ქართულ-ოსური კონფლიქტი 1990 წელს დაიწყო, მაშინ საქართველო ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა. კონფლიქტის დაწყების მიზეზი გახდა ის, რომ სამხრეთ ოსეთმა თავი რესპუბლიკად გამოაცხადა. საქართველოს ხელისუფლებამ ეს აღიქვა სამხრეთ ოსეთის საქართველოსგან გასვლის და ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთების

[24] ნიკა ჩიტაძე, ქეთევან ჯეგაშვილი. 2019. *საერთაშორისო სამართლის ორი ძირითადი პრინციპის - სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და ერთა თვითგამორკვევის შედარებითი ანალიზიკოსოვოსა და აფხაზეთის მაგალითზე.* თბილისი. გვ 1

პირველ ნაბიჯად. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და იქ მილიციის შეიარაღებული ძალები შეიყვანა. დაიწყო უშუალო შეტაკებები, ოსების დასახმარებლად ჩრდილოეთ ოსეთიდან და რუსეთის სხვა რეგიონებიდან ჩამოვიდნენ საბრძოლო ფორმირებები. ადგილი ჰქონდა ორივე მხარის მიერ მარადიორობას, რაც კიდევ უფრო ზრდიდა ერთმანეთის მიმართ სიძულვილსა და უნდობლობას. 1992 წელს საქართველოს სახელმწიფოს სათავეში ედუარდ შევარდნაძის მოსვლის შემდეგ სამხრეთ ოსეთში ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება დაიდო. ქართველებს არ აღუდგენიათ სამხრეთ ოსეთის ავტონომია და ზოგადად ტერმინი სამხრეთ ოსეთიც არ იხმარებოდა. თავისმხრივ ოსებმა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა გამოაცხადეს. აირჩიეს პარლამენტი და პრეზიდენტი და საქართველოსგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ.[25]

მართალია ცხინვალის რეგიონში ღია სამხედრო მოქმედებები აღარ მიმდინარეობდა, მაგრამ ქართულ-ოსური დაპირისპირება მოუგვარებელი დარჩა და გაყინული კონფლიქტის სახე მიიღო. 2008 წლამდე ის დაკონსერვებული სახით არსებობდა, სანამ რუსეთმა საქართველოში ინტერვენციის მიზნით სეპარატისტული ძალების მიერ საქართველოს ხელისუფლების წამქეზებლობა არ გამოიყენა. აქტიურად მიმდინარეობდა ქართული სოფლების მიმართულებით ცეცხლის გახსნა, ოსი სეპარატისტები ეთნიკური ნიშნით ავიწროვებდნენ ქართველ მოსახლეობას, უწვავდნენ სახლ-კარს და ძალადობდნენ მათზე ფიზიკურად. საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა ჩართულიყო კონფლიქტში საკუთარი მოქალაქეების დასაცავად.

[25] დავითაშვილი, ზურაბ. 2003. *ნაციონალიზმი და გლობალიზაცია.* თბილისი: ფონდი ''ღია საზოგადოება-საქართველო'' გვ 416-420.

კოსოვოსა და საქართველოს კონფლიქტების ერთ ჭრილში განხილვა, ყოველგვარ ლოგიკასაა მოკლებული. გაუმართლებელი რუსეთის მიერ იმის მტკიცება, რომ თუ კოსოვოს აქვს დამოუკიდებლობის მოპოვების უფლება, მაშინ იგივე უნდა გავრცელდეს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზეც.

კოსოვოს შემთხვევაში ადგილი ჰქონდა კოსოვოელი ალბანელების ეთნიკურ წმენდას. მასობრივად ირღვეოდა ადამიანის ფუნდამენტური და სასიცოცხლო უფლებები. გამოყენებული იქნა ყველა შესაძლო მშვიდობიანი გზა კონფლიქტის შესაჩერებლად, მაგრამ მილოშევიჩი არ წყვეტდა ეთნიკურად ალბანელი მოსახლეობის გენოციდს. ცხადი გახდა, რომ კოსოვოელი ალბანელებისა და სერბების ერთი ქვეყნის იურისდიქციის ქვეშ ცხოვრება შეუძლებელი იყო. სწორედ ამიტომ ამ ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის შემთხვევაში, ქართული მხარის მიერ აფხაზური და ოსური თვითმყოფადობა არ იყო შელახული. მათ ჰქონდათ აზრის თავისუფლად გამოთქმის და პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ნებასურვილის გამოხატვის უფლება. ისინი ისეთივე უფლებებით სარგებლობდნენ, როგორც ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა. შესაბამისად. მათი სეცესიისკენ სწრაფვა ყოველგვარ საფუძველს და ლეგიტიმაციას იყო მოკლებული. მათი ქმედება წარმოადგენს კლასიკური აგრესიული სეპარატიზმის გამოხატულებას, რომელიც აკრძალულია საერთაშორისო სამართლის მიხედვით და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ არ არის მხარდაჭერილი. ამასვე მეტყველებს ის ფაქტი, რომ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა მხოლოდ რუსეთის და მისი ,,მარიონეტი" ქვეყნების მიერ არის აღიარებული. მსოფლიო ქვეყნების აბსოლიტური უმრავლესობა კი არ ცნობს მათ დამოუკიდებლობას და საქართველოს განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს.

III თავი - ჰუმანიტარული ინტერვენციის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები

საერთაშორისო სამართალში ჰუმანიტარული ინტერვენციის საკითხი მეტად კომპლექსურია. იგი ემყარება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის პრინციპს. სახელმწიფოები ვალდებულნი არიან იმოქმედონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრინციპების შესაბამისად. აკრძალულია პირთა დისკრიმინაცია ეთნიკური და რელიგიური ნიშნით. სახელმწიფოებს, რომლის ტერიტორიაზეც ცხოვრობენ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები, ორმაგი პასუხისმგებლობა აკისრიათ. მათ უნდა დაიცვან ეროვნული უმცირესობების ინტერესები და ამასთანავე მაქსიმალურად უზრუნველყონ მათი ინტეგრაცია დანარჩენ მოსახლეობასთან. თუ ქვეყანაში ადგილი აქვს ადამიანის უფლებათა მასობრივ და სისტემატიურ დარღვევას, ეს ყოველივე საერთაშორისო-სამართლებრივ დანაშაულად ითვლება და გაეროს წესდების შესაბამისად უკიდურეს შემთხვევაში მის აღმოსაფხვრელად დასაშვებია შეიარაღებული ძალის გამოყენება და ქვეყანაში სამხედრო ინტერვენცია. ერთი შეხედვით ეს წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო სამართლის 4 ძირითად პრინციპთან. დეტალურად განვიხილოთ თითოეული მათგანი.

- სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის პრინციპი - ყოველი სახელმწიფო თავად განსაზღვრავს თავის იურისდიქციას საკუთარ ტერიტორიაზე და ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობაზე. ყველა სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორია შეუვალია სხვა ქვეყნის მთავრობებისთვის. მათ არ აქვთ უფლება დაარღვიონ ეს უზენაესობა, თუ თავად სახელმწიფო არ მისცემს ამის უფლებას. სახელმწიფოს ტერიტორიული უზენაესობის მოქმედების სფეროს შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა თანასწორუფლებიანი და ნებაყოფლობითი ხასიათის

შეთანხმების საფუძველზე, რომელიც მიმართულია სახელმწიფოთა შორის მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობის განსამტკიცებლად. სხვა დანარჩენ შემთხვევაში სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა მართსაწინააღმდეგო აქტად არის მიჩნეული და დაზარალებულ სახელმწიფოს აქვს უფლებამოსილება გამოიყენოს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ღონისძიებები საკუთარი ინტერესების დასაცავად.[26]

- ძალის გამოყენებაზე ან დამუქრებაზე უარის თქმის პრინციპი - საერთაშორისო სამართალი კრძალავს აგრესიულ ომს, როგორც ეროვნული პოლიტიკის გატარების საშუალებას სხვა ქვეყნის სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ. აკრძალულია ასევე ნებისმიერი სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური ზომების გამოყენება სხვა სახელმწიფოს დაქვემდებარების მიზნით. ყოველი სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას საერთაშორისო სამართლისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება და არ მიმართოს ძალისმიერ მუქარას ან ძალისმიერ ქმედებას პრობლემური საკითხის მოგვარების მიზნით. ამასთანავე, აკრძალულია სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ დაქირავებული რაზმების გამოყენება, ტერორისტული აქტების ორგანიზება, წამქეზებლობა და დივერსიული ჯგუფების მხარდაჭერა. აგრესიულ აქტად არის მიჩნეული სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები. სახელმწიფოს უფლება აქვს მასზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში გამოიყენოს ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის უფლება. საერთაშორისო სამართლის თანახმად

[26] ალექსიძე, ლევან. 2010. *თანამედროვე საერთაშორისო სამართალი.* თბილისი: საგამომცემლო სახლი ''ინოვაცია''გვ 41-43.

ვინც პირველად აწევს მახვილს - აგრესორია და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მის წინააღმდეგ მიიღებს შესაბამის ზომებს.[27]

- სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი - არც ერთ სახელმწიფოს არ აქვს უფლება ჩაერიოს სხვა ქვეყნის საშინაო საქმეებში, რადგან ეს წარმოადგენს სახელმწიფოს შიდა იურისდიქციის კომპეტენციის სფეროს. თუ ქვეყნის საშინაო საქმე საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უსაფრთხოებას და არღვევს ადამიანის უფლებების შესახებ საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, იგი შეიძლება იქცეს საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმის ობიექტად. სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის დარღვევას ინტერვენცია ეწოდება. იგი მოიცავს როგორც უშუალო სამხედრო აგრესიას ქვეყნის სუვერენიტეტის წინააღმდეგ, ასევე ფარულად დივერსიული ჯგუფების დაფინანსებას და ქვეყნის შიგნით სამოქალაქო ომის ხელშეწყობას. საერთაშორისო სამართლის თანახმად, აკრძალულია სახელმწიფოს წინააღმდეგ ინტერვენციის ყველა ფორმის გამოყენება, რომელიც მიმართულია ქვეყანაში წესწყობილების შესაცვლელად და მის დასამორჩილებლად.[28]
- საერთაშორისო დავების მშვიდობიანი მოწესრიგების პრინციპი - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების თანახმად, ყველა სახელმწიფომ უნდა მოაგვაროს დავები მშვიდობიანი გზით და არ შეუქმნას საფრთხე საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას. კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საშუალებებს მიეკუთნება მოლაპარაკება, შუამავლობა, არბიტრაჟი, კონფლიქტში რეგიონალური და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვა. მოდავე მხარეები ვალდებულები არიან განაგრძონ მოლაპარაკებები, სანამ დავის მოგვარების მშვიდობიანი საშუალებების გამოყენებით არ მივლენ შეთანხმებამდე. საერთაშორისო სამართალში არ

[27]იქვე გვ 36-41
[28] იქვე გვ 44-45

არსებობს ისეთი დავა, რომელიც ვერ მოგვარდება მშვიდობიანი გზით. საჭიროა მხოლოდ სურვილი და კონსესუსის მიღწევისთვის მზაობა.[29]

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის პრინციპი ერთგვარად ლეგიტიმაციას სძენს სამხედრო ინტერვენციას და წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო სამართლის 4 ძირითად პრინციპთან. უნდა აღინიშნოს, ის გარემოება, რომ საერთაშორისო სამართლის მიხედვით დაუშვებელია ადამიანის უფლებათა დაცვის საბაბით სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევა, მასზე დიპლომატიური და ეკონომიკური ზეწოლა და ასევე მასობრივი ინფორმაციის წყაროების გამოყენებით სახელმწიფოს სუვერენიტეტის წინააღმდეგ იდეოლოგიური ბრძოლა.

ინტერვენციის დაუშვებლობისა და სახელმწიფოთა შიდა საქმეებში ჩაურევლობის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ანსამბლეის დეკლარაციის თანახმად, სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ სუვერენულ სახელმწიფოში სამხედრო ინტერვენციისგან. ამასთანავე, ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევის ნებისმიერი სხვა ფორმისგან. იქნება ეს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო ზეწოლა. დეკლარაციის მიხედვით სახელმწიფოებს ეკრძალებათ ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხის დამახინჯება და სხვა ქვეყანაში შეჭრის მიზნით მათთვის სასურველი ინტერპრეტაციით მისი წარმოჩენა.[30]

ჰუმანიტარული ინტერვენცია მხოლოდ მაშინ არის გამართლებული თუკი ის არის უკიდურესი ფორმა კონფლიქტური ვითარების დასასტაბილურებლად. ძალისმიერი მეთოდის გამოყენებამდე კონფლიქტის მოგვარების ყველა

---

[29] იქვე გვ 54-55.

[30] ბურკაძე, ხათუნა. 2011. *ძალის გამოყენების ასპექტები საერთაშორისო სამართალში.* თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ 83-86

მშვიდობიანი გზა უნდა იყოს ამოწურული და კონფლიქტურ მხარეებს შორის ვითარება იმდენად უნდა იყოს გამწვავებული, რომ ჩაურევლობის შემთხვევაში მას დიდი მსხვერპლი მოყვება. ჰუმანიტარული ინტერვენცია უნდა ემსახურებოდეს ერთადერთ მიზანს - ადამიანის ფუნდამენტური და სასიცოცხლო უფლებების დაცვას.

3.1 ჰუმანიტარული ინტერვენციის რაობა, მისი განხორციელების წინაპირობები და კრიტერიუმები

ჰუმანიტარული ინტერვენცია არის კონკრეტული ერთი სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენება, რომელიც მიმართულია ადამიანის ფუნდამენტური უფლებების ფართომაშტაბიანი და მძიმე დარღვევების შეწყვეტისკენ ან პრევენციისკენ. ინტერვენციის თეორია ეყრდნობა ჰუმანურობის პრინციპს და ცნობს სახელმწიფოს უფლებას განახორციელოს საერთაშორისო კონტროლი სხვა სახელმწიფოს საშინაო სუვერენიტეტის იმ ქმედებებზე, რომლებიც ეწინააღმდეგება ჰუმანურობის ნორმებს.

ჰუმანიტარული ინტერვენციის დოქტრინის თანახმად, ინტერვენციული აქტი უნდა განხორციელდეს შესაბამისი წინაპირობების არსებობისას. ლეგიტიმური ჰუმანიტარული ინტერვენციის მთავარი მოთხოვნაა ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის არსებობა. გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად, ადამიანის უფლებები მოიცავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ უფლებათა ფართო სპექრტს. მიუხედავად ამისა, ჰუმანიტარული ინტერვენციის განხორციელება შეიძლება მხოლოდ ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევისას, რაშიც მოიაზრება სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის ხელყოფა. ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევის ფაქტები აუცილებლად უნდა იყოს

დადასტურებული სანდო წყაროებით, რომელიც უნდა იყოს მოპოვებული დამოუკიდებელი მხარის მიერ. ინფორმაციის ყველაზე სარწმუნო წყარო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მოპოვებული მასალებია. ამასთანავე, სანდოობის მაღალი ხარისხით სარგებლობს წითელი ჯვარი და Human Rights Watch.[31]

ჰუმანიტარულ კატასტროფასთან ერთად სხვა სახელმწიფოში ინტერვენციისთვის აუცილებელია იყოს სახეზე ადგილობრივი ქვეყნის ხელისუფლების უმოქმედობა ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვისას ან თავად ეს სახელმწიფო უნდა ანხორციელებდეს თავის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა უფლებების უხეშ ხელყოფას. მაგალითად გენოციდის შემთხვევა არის ერთ-ერთი ლეგიტიმური წინაპირობა ჰუმანიტარული ინტერვენციის განსახორციელებლად. გენოციდი არის კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული უდიდესი საერთაშორისო დანაშაული, რომელიც მიზნად ისახავს რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიან ან ნაწილობრივ განადგურებას. აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ გენოციდის შესახებ კონვენცია არ განსაზღვრავს იმ მაშტაბებსა და მსხვერპლთა რაოდენობის მინიმალურ ზღვარს, რომელიც უნდა იყოს მიღწეული ეთნიკური წმენდისას, რათა ეს ქმედებები შერაცხული იქნას გენოციდად. შესაბამისად, კონკრეტული შემთხვევების მაგალითებზე ეს საკითხი ინდივიდუალურად წყდება. კლასიკური გაგებით ჰუმანიტარული ინტერვენცია უნდა განხორციელდეს უცხო ქვეყნის მოქალაქეების უფლებების უხეში დარღვევისას. საკუთარი მოქალაქეების დაცვის მოტივით სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ ძალის გამოყენება არ წარმოადგენს ჰუმანიტარული ინტერვენციის ნაირსახეობას.

[31] იქვე გვ 88-89

ჰუმანიტარული ინტერვენციის შემდეგი წინაპირობა არის საერთაშორისო სამართლის მიერ დაშვებული ყველა მშვიდობიანი დავის გადაჭრის მეთოდის ამოწურვა და კონფლიქტის იმდენად გამწვავება, რომ მშვიდობის უზრუნველყოფის ერთადერთ საშუალებად ძალისმიერი მეთოდი რჩება. ამ შემთხვევაში ჰუმანიტარული ინტერვენცია უნდა იყოს შემოფარგლული კრიზისის დაძლევისა და მისი თავიდან აცილების მოტივით. არავითარ შემთხვევაში არ უნდა ისახავდეს მიზნად ტერიტორიის დაყოფას,დანაწევრებას ან ადგილობრივი ხელისუფლების დამხობას.

კანადის მთავრობის ,,ინტერვენციისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის საერთაშორისო კომისიამ'' გამოყო 6 კრიტერიუმი, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს ჰუმანიტარული ინტერვენცია, რათა ძალის გამოყენება სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ და მის საშინაო საქმეებში ჩარევა იყოს გამართლებული. განვიხილოთ თითოეული მათგანი:[32]

- სამართლიანი მიზეზის არსებობა - სარწმუნო წყაროებით უნდა დადგინდეს არის თუ არა ადამიანის ფუნდამენტური უფლებების წინაშე მიყენებული დანაშაული იმდენად მძიმე, რომ საჭირო გახდეს ჩაურევლობის პრინციპის დარღვევა.
- ლეგიტიმურობა - ინტერვენცია აუცილებლად უნდა იქნას სანქცირებული გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ.
- სწორი განზრახვა - ინტერვენცია უნდა ხორციელდებოდეს ჰუმანიტარული მიზნებისთვის და არ უნდა ისახავდეს მიზნად სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის ძირის გამოთხრას. ამასთანავე, იგი არ უნდა ხორციელდებოდეს ინტერვენტი სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური ან სხვა ინტერესებიდან გამომდინარე.

---

[32] სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა. სამეცნიერო ნაშრომების კრებული. ურუტაძე, ჯაბა. 2014. *ჰუმანიტარული ინტერვენცია: ადამიანის უფლებები და სახლმწიფო სუვერენიტეტი.* თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ 352-354

- უკიდურესი ზომა - სამხედრო ინტერვენციის განხორციელებამდე, კრიზის დაძლევის ყველა სხვა საშუალება უნდა იქნას გამოყენებული.
- პროპორციული ზომები - ჰუმანიტარული მიზნების მისაღწევად დაგეგმილი სამხედრო ინტერვენციის მაშტაბი, ხანგძლივობა და ინტენსივობა უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მინიმალური.
- წარმატების პერსპექტივა - უნდა არსებობდეს წარმატების გონივრული შანსი, ქმედების შედეგი არ უნდა იყოს უმოქმედობის შედეგზე უარესი.

3.2 ძალის გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები

მე-20 საუკუნის დასაწყისამდე საერთაშორისო სამართალში დავის გადაჭრის ერთ-ერთ საშუალებად ძალისმიერი მეთოდის გამოყენება დასაშვები იყო, მნიშვნელობა მხოლოდ მისი მოტივების სამართლიანობას ენიჭებოდა. პირველი და მეორე მსოფლიო ომის გამანადგურებელმა შედეგმა, საერთაშორისო საზოგადოებას აჩვენა ძალის გამოყენების აკრძალვის საჭიროება. 1928 წლის 27 აგვისტოს პარიზში დასავლეთის ქვეყნებმა ხელი მოაწერეს ბრიან-კელოგის პაქტს, რომლის მიხედვითაც უარს ამბობდნენ ომზე, როგორც ეროვნული პოლიტიკის გატარების საშუალებაზე. მოცემული პაქტი მანამდე არსებული ერთა ლიგის პაქტისაგან განსხვავებით კი არ ზღუდავდა ომის წარმოებას, არამედ კანონგარეშედ აცხადებდა მას. 1945 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის ძირითადი მიზანი საერთაშორისო სამართლის მოდერნიზაცია იყო. მსოფლიო ლიდერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ომს დამანგრეველი შედეგი მოჰქონდა კაცობრიობისთვის და არ შეიძლებოდა კონფლიქტის მოსაგვარებლად ძალისმიერი მეთოდის გამოყენება. გაეროს უნდა დაეცვა საერთაშორისო მშვიდობა, განევითარებინა სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობები, უზრუნველყო ადამიანის ძირითადი უფლებების

საყოველთაო პატივისცემა და ხელი შეეწყო ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობისთვის. ძალის გამოყენების აკრძალვის უნივერსალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, ამ პრინციპის კოდიფიკაცია მოხდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში. გაეროს წესდების მე-7 თავის 39-ე მუხლის თანახმად, უშიშროების საბჭო განსაღვრავს მშვიდობისთვის საფრთხისშემცველ და აგრესიულ აქტებს. მათი ანალიზის შემდეგ იღებს რეკომენდაციებს და გადაწყვეტილებებს საერთაშორისო მშვიდობის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ რეკომენდაციებს არ აქვთ სავალდებული ხასიათი. გაეროს წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ უარი თქვან უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეკომენდაციების შესრულებაზე, მაგრამ მათი უგულებელყოფის შემთხვევაში შესაძლოა დაეკისროთ დიპლომატიური და ეკონომიკური სანქციები. გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ სხვა სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ ძალის გამოყებისგან და მისი ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისგან. არის გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც საერთაშორისო სამართალში ძალის გამოყენება დაშვებულია. განვიხილოთ თითოეული მათგანი.[33]

- ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვა - გაეროს წესდების 51-ე მუხლის თანახმად ყველა სახელმწიფოს აქვს უფლება მასზე სამხედრო თავდასხმის შემთხვევაში გამოიყენოს სამხედრო ძალა საკუთარი ინტერესების დასაცავად. სახელმწიფომ და მისმა მოკავშირეებმა უნდა გამოიყენონ სამხედრო ძალის ის მინიმალური რაოდენობა, რაც საჭიროა თავდასხმის მოგერიებისთვის. თავდაცვის უფლება არ მოიაზრებს პრევენციულ თავდაცვას ან შეიარაღებული რეპრესალიის უფლებას.

[33] ბურკაძე, ხათუნა. 2011. *ძალის გამოყენების ასპექტები საერთაშორისო სამართალში.* თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ11-16

- გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ სანქცირებული - გაეროს უშიშროების საბჭო უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს ძალისმიერი მეთოდი საყოველთაო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ეს ზომები მოიცავს ეკონომიკურ და დიპლომატიურ სანქციებს, ასევე სარკინიგზო, საჰაერო და საზღვაო ურთიერთობების ნაწილობრივ ან სრულ შეზღუდვას. უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს სამხედრო ინტერვენციასაც.[34]

  მნიშველოვანია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ძალის გამოყენების აკრძალვის სამართალი და ჰუმანიტარული სამართალი. პირველი მათგანი მიეკუთნება ომამდე გამოსაყენებელ სამართალს, ხოლო მეორე - ომის დროს გამოსაყენებელ სამართალს. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის თანახმად, თუ შეუძლებელია ომის თავიდან აცილება, მაშინ იგი გარკვეული ჰუმანიტარული შეზღუდვების შესაბამისად უნდა წარმოებდეს. შეზღუდვები მოიცავს გარკვეული სახის იარაღის აკრძალვას და ტყვეთა და სამოქალაქო პირთა უფლებების დაცვას. ძალის გამოყენების აკრძალვის სამართალსა და ჰუმანიტარულ სამართალს შორის აღნიშნული გამიჯვნა ზედაპირული ხასიათისაა, რადგან რეალურად ძალის გამოყენების აკრძალვის სამართალი მოქმედებას არ წყვეტს არც კონფლიქტის მიმდინარეობის დროს. ჰუმანიტარული სამართალი თანაბრად გამოიყენება კონფლიქტის ყველა მონაწილის მიმართ. მისი ფუნქცია არ არის შეაფასოს რამდენად ლეგიტიმური იყო ომის დაწყება, მას მხოლოდ ევალება შეიარაღებული კონფლიქტის დროს მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვა. ისეთი საკითხები, რომლებიც ეხება ომის დაწყების მიზეზის და მისი პრევენციის შესაძლო გზების სამართლებრივ შეფასებას - ძალის გამოყენების აკრძალვის სამართლის პრეროგატივაა. ერთი შეხედვით, ძალის გამოყენების აკრძალვისა და ჰუმანიტარული სამართლის თანაარსებობა ერთმანეთს გამორიცხავს, რადგან ერთი მათგანი ძალის

[34] იქვე. გვ 18-19

გამოყენებას კრძალავს, ხოლო მეორე მისი გამოყენების პრინციპებს ადგენს. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ დღევანდელ რეალობაში მიუხედავად ძალის გამოყენების აკრძალვისა მაინც უამრავი სამხედრო კონფლიქტი არსებობს. შესაბამისად, აუცილებელია ჰუმანიტარული სამართლის პრინციპების არსებობა, რათა კონფლიქტურ სიტუაციაში მოხდეს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვა.[35]

3.3 საქართველოში რუსეთის სამხედრო ინტერვენციის პოლიტიკური და სამართლებრივი ანალიზი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთი მაქსიმალურად ცდილობდა არ დაეკარგა ზეგავლენა პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე. ამ მიზნის მიღწევას ქვეყნებში არეულობისა და არასტაბილურობის გამოწვევით ცდილობდა. იგი აქტიურად უჭერდა მხარს საქართველოში სეპარატისტულ მოძრაობებს. მათ ეხმარებოდა როგორც მატერიალურად ასევე საბრძოლო ტექნიკით. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მომხდარი ეთნიკური კონფლიქტიც მის მიერ იყო ინსცენირებული. რუსეთის ფედერაცია მუდმივად აწყობდა პროვოკაციებს და ამწვავებდა კონფლიქტურ სიტუაციას ე.წ. სამშვიდობო ძალების მეშვეობით. მას შემდეგ რაც საქართველომ ევრო-ატლანტიკური კურსი აირჩია რუსეთის პოლიტიკა მეტად ხისტი გახდა მასთან მიმართებაში. საქართველოსა და ნატოს დაახლოება რუსეთმა მისი უსაფრთხოებისთვის საფრთხისშემცველად მიიჩნია და გააქტიურა სეპარატისტული ძალები კონფლიქტურ რეგიონებში. 2008 წლის 17 თებერვალს კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და

[35] ნებიერიძე, მარიამ. *ძალის გამოყენების აკრძალვის პრინციპი გაეროს წესდებაში და მისი მნიშვნელობა საერთაშორისო უშიშროებისა და უსაფრთხოებისთვის.* 2017. *http://yata.ge/.* 28 დეკემბერი. წვდომა 2021 წლის 18 ივნისი. http://yata.ge/ge/?p=1563#_ftn1.

სახელმწიფოთა უმრავლესობის მიერ მისი აღიარება რუსეთმა მის წინააღმდეგ მიმართულ ნაბიჯად აღიქვა და ამის საპასუხოდ გააჟღერა, რომ იდენტურ პოლიტიკას გაატარებდა სხვა სეპარატისტული რეგიონების მიმართებაში.

2008 წლის 16 აპრილს რუსეთის პრეზიდენტმა გამოსცა დეკრეტი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან პირდაპირი სამართლებრივი და დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ. ამავე წლის 29 აპრილს, რუსეთის თავდაცვისა და საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში იწყებდა სამშვიდობო კონტიგენტის გაზრდას. ეს ყოველივე მოხდა ხელშეკრულების დარღვევით და ქართულ მხარესთან შეუთანხმებლად. რუსეთმა სამშვიდობო ეგიდით სინამდვილეში შემოიყვანა მძიმე ტექნიკით აღჭურვილი სადესანტო ძალები და ისე განალაგა, რომ მათ სამიზნე არეალში მოხვდა საქართველოს სტრატეგიული სივრცეები.[36]

მაისის დასაწყისში, ნატოსა და რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელების შეხვედრის დროს, რუსეთის არმიის გენერალმა იური ბალუევსკიმ გააჟღერა ინფორმაცია ზაფხულში საქართველოში შესაძლო ომის დაწყების შესახებ და მოსთხოვა ნატოს წევრ ქვეყნებს საქართველოსთან ერთად დაგეგმილი სამხედრო წვრთნები გადაედოთ, თუ არ სურდათ თავისდაუნებურად ჩართულიყვნენ ამ კონფლიქტში.[37] 13 ივლისს ცხინვალის რეგიონში შემოვიდა 100 ერთეულამდე რუსული არმიის ტანკი და თვითმავალი ქვემეხები. 15 ივლისიდან რუსეთმა დაიწყო ფართომაშტაბიანი სამხედრო წვრთნები საქართველოს ჩრდილოეთ საზღვართან. 29 ივლისს ცხინვალის რეგიონის სეპარატისტულმა ძალებმა ქართული სოფლების მიმართულებით დაიწყეს ცეცხლის გახსნა, წვავდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის სახლებს და ეთნიკურ ნიადაგზე უსწორდებოდნენ ქართველ მაცხოვრებლებს. ეუთო და

[36] ბურკაძე, ხათუნა. 2011. *ძალის გამოყენების ასპექტები საერთაშორისო სამართალში.* თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ 130-138

[37] ასმუსი რონალდ. ,, მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა ''. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2010 წელი. გვ 2-5

ევროკავშირი აქტიურად ცდილობდა ბრიუსელში ქართულ-ოსური შეხვედრის ორგანიზებას ვითარების დასასტაბილურებლად, მაგრამ სეპარატისტები უარს აცხადებდნენ დიალოგზე.[38] უკვე აშკარა იყო რომ არც რუსეთის და არც სეპარატისტული ჯგუფების ინტერესში არ შედიოდა შექმნილი ვითარების მშვიდობიანი გზით მოგვარება. პირიქით, მათი მიზანი იყო საქართველოს სამხედრო კონფლიქტში ჩათრევა. პაველ ფელგანჰაუერი, სამხედრო საკითხებში კარგად გათვიცნობიერებული ,,ნოვაია გაზეტას'' კორესპონდენტი წერდა, რომ რუსეთს ჯერ კიდევ აპრილში ჰქონდა გადაწყვეტილი საქართველოში შეჭრა. მისი გეგმა ითვალსწინებდა ოსი სეპარატისტების მიერ ქართველების პროვოცირებას და ნებისმიერი საპასუხო რეაქციის გამოყენებას საქართველოში სამხედრო ინტერვენციის საბაბად. ომი ნებისმიერ შემთხვევაში გარდაუვალი იყო, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა რას მოიმოქმედებდა თბილისი. რუსეთის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს ხელისუფლების დამხობა, ქართული ჯარის განადგურება და ნატოში გაწევრიანების ოცნების საბოლოო დასამარება.[39]

2008 წლის 7 აგვისტოს რუსეთის ფედერაცია ღიად ჩაება კონფლიქტში და საქართვლოს წინააღმდეგ დაიწყო ფართომაშტაბიანი სამხედრო აგრესია. რუსეთმა შემოუტია საქართველოს სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო და კიბერსივრცეს ერთდროულად. ჰაკერებმა საქართველოს პრეზიდენტის ვებსაიტის და საბანკო სექტორის ვებგვერდების ბლოკირება მოახდინეს. ეს ყოველივე მიზნად ისახავდა იმის ჩვენებას, თუ რამდენად დაუცველი იყო საქართველოს კიბერსივრცე და ამასთანავე, სამთავრობო ვებსაიტზე მიტანილი იერიში, ამცირებდა ხელისუფლების შესაძლებლობას დაკავშირებოდა უცხოელ პარტნიორებს და გარესამყაროს, რათა მიეწოდებინა

[38] ბურკაძე, ხათუნა. 2011. *ძალის გამოყენების ასპექტები საერთაშორისო სამართალში.* თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ 131-136

[39] ასმუსი რონალდ. ,, მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა ''. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2010 წელი. გვ 3-5

ზუსტი ინფორმაცია საქართველოში შექმნილი ვითარების შესახებ. საბანკო სექტორი კი იმისთვის იყო მიზანში ამოღებული, რომ ეკონომიკური ქაოსი გამოეწვია ქვეყანაში.[40]

აგვისტოს ომის მიმდინარეობის დროს დაახლოებით 40 000 რუსი ჯარისკაცი შემოიჭრა საქართველოში. 20 000 ჯარისკაცი როკის გვირაბის გავლით შემოვიდა ცხინვალის რეგიონში, ხოლო დარჩენილი ნაწილი განთავსებული იყო აფხაზეთში. რუსეთმა აქტიურად დაიწყო ქართული სოფლების დაკავება, ამასთანავე არ წყდებოდა რუსული ავიაციის საჰაერო თავდასხმები. ფოთის ნავსადგურთან ააფეთქეს საქართველოს სანაპირო დაცვის 3 გემი. საბრძოლო მოქმედებები გასცდა კონფლიქტურ არეალს და რუსეთი საქართველოს დარჩენილი რეგიონების დაკავებაზე გადავიდა. სეპარატისტულმა შეიარაღებულმა ბანდებმა და ე.წ. ''მოხალისეებმა'' დაიწყეს მარადიორობა, ქართველი მოსახლეობის ძარცვა და შევიწროვება. რუსეთის სამხედრო ძალებმა გადაკეტეს ცეტრალური საავტომობილო მაგისტრალი, რის შედეგადაც სრულად მოწყდა ერთმანეთს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო. არსებობდა საშიშროება იმის, რომ რუსეთის ჯარი თბილისშიც შემოიჭრებოდა. ასეთ რთულ ვითარებაში საქართველოს მხარდასაჭერად პოლონეთის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის ორგანიზებით თბილისში ჩამოვიდნენ ლიეტუვის, ლატვიის, ესტონეთისა და უკრაინის პირველი პირები. მათ ქართველ ხალხს გამოუცხადეს სოლიდარობა, ერთხმად დაგმეს რუსეთის აგრესიული ქმედება დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ და განაცხადეს რომ ყველას ვისაც სჯერა დემოკრატიისა და თავისუფლების, ამბობს რომ დღეს ქართველია[41]

---

[40]ბურკაძე, ხათუნა. 2011. *ძალის გამოყენების ასპექტები საერთაშორისო სამართალში.* თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ 136-138

[41] საქართველოს მთავრობის ანგარიში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სრულმაშტაბიან აგრესიასთან დაკავშირებით. თბილისი, 2009 წელი გვ 54-55

საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ საქართველოს და რუსეთის პრეზიდენტებს შესთავაზა 6 პუნქტიანი სამშვიდობო გეგმა. მიუხედავად იმისა რომ რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა მას ხელი მოაწერა, რუსეთის ჯარებს არ დაუტოვებია საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორია და არ აღმდგარა ომამდე არსებული ტერიტორიული ვითარება. 26 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტმა ყველა საერთაშორისო ნორმისა და კანონმდებლობის დარღვევით აღიარა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. საქართველოს პარლამენტმა ამის საპასუხოდ რუსეთის სამხედრო ძალები საოკუპაციო ძალებად გამოაცხადა, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ოკუპირებულ ტერიტორიებად და გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთთან.[42] საერთაშორისო თანამეგობრობამ უკანონოდ მიიჩნია რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება და მხარი დაუჭირა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

რუსეთმა საქართველოში შეჭრა განმარტა, როგორც უცხო ქვეყანაში საკუთარი მოსახლეობის დაცვის მიზნით ჰუმანიტარული ინტერვენცია. როგორც უკვე კარგად მოგვეხსენება, ჰუმანიტარული ინტერვენცია არის უცხო ქვეყნის მოქალაქეების ფუნდამენტური უფლებების დაცვის უკიდურესი საშუალება. საკუთარი მოქალაქეების დაცვის მოტივით სხვა სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ ძალის გამოყენება არ წარმოადგენს ჰუმანიტარული ინტერვენციის ნაირსახეობას. ცალკე სამართლებრივ შეფასებას ექვემდებარება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მაცხოვრებელთათვის რუსეთის მოქალაქეთა პასპორტების დარიგება, როდესაც რუსეთი ფორმალურად

[42] იქვე გვ 56

საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში მხოლოდ ''სამშვიდობო მისიას'' ასრულებდა.[43]

სამხედრო ძალის გამოყენებამდე, რუსეთს არ აუმოქმედებია საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული კონფლიქტის მოგვარების არც ერთი მშვიდობიანი ბერკეტი. უფრო მეტიც, მას არანაირი ზომები არ მიუღია, რათა თავიდან აეცილებინა კონფლიქტის ესკალაცია. ქართულ მხარეს ჰქონდა არაერთი მცდელობა სიტუაციის დასარეგულირებლად გაემართა მოლაპარაკებები ოსი სეპარატისტების ლიდერებთან, რაშიც დახმარებას რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელებს და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო საქმეთა რწმუნებულს თხოვდა. რუსული მხარე აცხადებდა, რომ ვერ უკავშირდებოდა სეპარატისტ ლიდერებს და მოლაპარაკების გამართვის მოლოდინში გრძელდებოდა ქართული სოფლების მიმართულებით ინტენსიური სროლები. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი რომ რუსეთის ინტერესში არ შედიოდა მშვიდობიანი მოლაპარაკებები და მიზანმიმართულად უშლიდა მათ ხელს, რათა საბაბი ჰქონოდა საქართველოში სამხედრო ინტერვენციისთვის [44]

რუსეთი ამტკიცებდა, რომ ცხინვალის რეგიონში ადგილი ჰქონდა საქართველოს მიერ ოსი მოსახლეობის გენოციდს და ეთნიკურ წმენდას. რეალურად, საქართველოს არ დაურღვევია საერთაშორისო სამართლის არც ერთი ნორმა. პირიქით, სწორედ ქართველი ეროვნების მშვიდობიანი მოსახლეობა გახდა ეთნიკური წმენდის მსხვერპლი. ამაზევე მეტყველებს სტრასბურგის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება აგვისტოს ომის საქმესთან დაკავშირებით.

---

[43] ბურკაძე, ხათუნა. 2011. *ძალის გამოყენების ასპექტები საერთაშორისო სამართალში.* თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ 130

[44] იქვე. გვ 130-137

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთი პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 6 მუხლის დარღვევაზე და 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დადების შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე. მშვიდობიანი მოსახლეობის მკვლელობის, ასევე ქართულ სოფლებში და ბუფერულ ზონაში სახლების დაწვასა და ძარცვასთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია რუსეთის შეიარაღებული ძალები ფორმალურად კონფლიქტში მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ძალადობის აღსაკვეთად იყვნენ ჩართულნი, მაგრამ ძირითად შემთხვევაში განზე გადგნენ, როდესაც ოსური დანაყოფები მარადიორობდნენ. სამხედრო ტყვეებზე საუბრისას, სასამართლომ აღნიშნა, რომ სამხედრო ტყვეების რუსეთის იურისდიქციის ქვეშ მოქცევა იმას ნიშნავდა, რომ ეს უკანასკნელი სამხრეთ ოსეთის ძალების ქმედებებზეც იყო პასუხისმგებელი. სასამართლომ დასძინა, რომ საქართველოს მშვიდობიანი მოქალაქეების დაკავება და მათ მიმართ განხორციელებული ქმედებები არაჰუმანურ და დამამცირებელ მოპყრობად შეიძლება შეფასდეს. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ „სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებებსა და რუსეთის ფედერაციას, რომელიც ამ რეგიონებზე ეფექტიან კონტროლს ახორციელებდა, კონვენციის ფარგლებში ვალდებულება ეკისრებოდათ, რომ ეთნიკური ქართველებისთვის თავიანთ სახლებში დაბრუნების შესაძლებლობა მიეცათ.[45]

[45] ველტინი, სანდრო. *სტრასბურგის სასამართლომ 2008 წლის აგვისტოს ომის საქმეზე გადაწყვეტილება მიიღო.* 2021. *civil.ge.* 1 იანვარი. წვდომა 2021 წლის 19 ივნისი. https://civil.ge/ka/archives/392298. გვ 1

დასკვნა

დღევანდელი მსოფლიო წესრიგის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად სეპარატიზმი შეგვიძლია მივიჩნიოთ. იგი უდიდესი საფრთხის მატარებელია ქვეყნის ეროვნული და რეგიონალური უსაფრთხოებისთვის. სეპარატისტული კერები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გვხვდება, რომლებიც ნებისმიერ დროს შეიძლება გაღვივდეს და დომინოს პრინციპით მოედოს მსოფლიოს.

საქართველოც იმ ქვეყანათა შორისაა, რომელსაც აქვს სეპარატიზმის პრობლემა. ''აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკა'', რუსეთის მიერ შექმნილი ყალბი სახელმწიფოებია, რომლებსაც რუსეთზე დამოკიდებული, მარიონეტი ხელისუფლება მართავს. საერთაშორისო საზოგადოების მიერ ეს ორი რეგიონი საქართველოს განუყოფელ ნაწილად არის მიჩნეული, რომელიც ამჟამად რუსეთის ფედერაციის მიერ არის ოკუპირებული. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევა და ოკუპაცია, ქვეყნის უმთავრესი შიდა პრობლემაა, რომელიც ამავდროულად ხელისშემშლელი ფაქტორია ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებისთვის.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი გმობს სეპარატიზმს. იგი წინააღმდეგია სუვერენული სახელმწიფოს ფარგლებში მცხოვრები პატარა ერების მიერ თვითგამორკვევის პრინციპის გამოყენების, როდესაც არ ირღვევა მათი ფუნდამენტური უფლებები და არ ილახება მათი თვითმყოფადობა. თუ ეთნიკურ უმცირესობებს აქვთ საშუალება თავისუფლად გამოხატონ თავიანთი პოლიტიკური თუ სოციალური ნებასურვილი და სარგებლობენ მოსახლეობის

დანარჩენილ ნაწილთან თანაბარუფლებიანობით, მათი სეცესიისკენ სწრაფვა აგრესიულ სეპარატიზმად ითვლება, რომელიც საერთაშორისო სამართლებრივი დარღვევაა.

აფხაზური და ოსური სეპარატიზმი სათავეს იღებს ქართული სამეფო-სამთავროების რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ. თავდაპირველად მეფის რუსეთის, შემდეგ კი საბჭოთა რუსეთის მიერ აქტიურად მიმდინარეობდა ანტიქართული პროპაგანდა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. ეს იყო მიზანმიმართული ქმედება საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, რათა შენელებული მოქმედების ნაღმის ჩადებით მოსკოვს შეენარჩუნებინა საქართველოზე ზეგავლენა და არ დაეშვა მისი დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა.

აფხაზეთს თავისი სეცესიისკენ მიმართული ქმედების გასამართლებლად მოყავს ის არგუმენტი, რომ არ წარმოადგენდა საქართველოს შემადგენელ ნაწილს და დამოუკიდებელი სამთავროს სახით შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. რა საკვირველია, ეს ყოველივე არ შეესაბამება რეალობას. საუკუნეების მანძილზე აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო, რომელიც დასავლეთ საქართველოს აღნიშნავდა. მე-15 საუკუნეში რთული პოლიტიკური ვითარების გამო საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიშალა. ერთ-ერთი მათგანი იყო აფხაზეთის სამთავროც. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს ყველა სამეფო-სამთავრო აფხაზეთის მსგავსად დამოუკიდებლად შევიდა, შესაბამისად ეს ფაქტი ვერ გამოდგება იმის დასამტკიცებლად, რომ აფხაზეთი საქართველო არ არის. რაც შეეხება ე.წ. სამხრეთ ოსეთს, ის აღიარებს რომ ცხინვალის რეგიონი ისტორიულად ყოველთვის საქართველოს შემადგენელი ნაწილი იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში ამ ტერიტორიაზე ეთნიკური სტრუქტურა შეიცვალა და ოსი

ეროვნების ხალხი დასახლდა. შესაბამისად მათ ქონდათ ეთნიკური თვითგამორკვევის და ჩრდილოეთ ოსეთთან მიერთების უფლება. ქართული მხარისთვის ეს არგუმენტი უმადურობის გამოვლინებაა და მოკლებულია ყველანაირ ლეგიტიმაციას. აფხაზი და ოსი სეპარატისტები ეთნიკური ნიშნით შევიწროვებაში ბრალს სდებდნენ საქართველოს და ამის დასტურად მოყავდათ საბჭოთა კავშირის სათავეში ეთნიკურად ქართველი ხელმძღვანელების - სტალინისა და ბერიას რეპრესიული რეჟიმი. საგულისხმოა ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირის დროს ქართველები ერთ-ერთი ყველაზე რეპრესირებული ხალხი იყვნენ. სტალინისა და ბერიას ქმედებებს არავითარი კავშირი არ ქონდა ქართულ შოვინიზმთან, ისინი საბჭოთა კავშირის დიქტატორები იყვნენ და თავიანთი ინტერესების შესაბამისად მოქმედებდნენ. იმ პერიოდში საქართველოს ეროვნული სახელმწიფო არ არსებობდა და საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელისუფლების მიერ იყო მიღებული ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. შესაბამისად, საქართველო ვერ მოახდენდა აფხაზებისა და ოსების თვითმყოფადობის შელახვას. შემდეგი ბრალდება რომელიც ისმის საქართველოსთან მიმართებაში არის აფხაზებისა და ოსების უფლებების მასობრივი შეზღუდვა. რეალურად, იმ პერიოდში აფხაზები და ოსები დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ. საბჭოთა კავშირში აფხაზეთი ერთადერთი ავტონომიური რესპუბლიკა იყო, სადაც ადგილობრივ ენას - აფხაზურს სახელმწიფო ენის სტატუსი ქონდა. აფხაზებს გააჩნდათ საკუთარი უნივერსიტეტი, აფხაზი ეროვნების პირებს ეკავათ თითქმის ყველა მნიშვნელოვანი თანამდებობა აფხაზეთში. ჰქონდათ რადიომაუწყებლობა და ტელევიზია აფხაზურ ენაზე, მოსახლეობის რაოდენობასთან შეფარდებით მშობლიურ ენაზე წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გამოცემით პირველი იყვნენ საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის. რაც შეეხება სამხრეთ ოსეთს, აქ 94 ოსური სკოლა ფუნქციონირებდა, როდესაც ოსების ისტორიულ სამშობლოში

- ჩრდილოეთ ოსეთში არც ერთი ოსური სკოლა არ არსებობდა. ამასთანავე, სწორედ ცხინვალის რეგიონი წარმოადგენდა ოსური კულტურის განვითარების ცენტრს. შესაბამისად, ქართველების მიერ აფხაზებისა და ოსების შევიწროვებას ადგილი არ ქონია და ყველანაირ სამართლიანობის პრინციპსაა მოკლებული მათი დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა.

აფხაზი და ოსი სეპარატისტები რუსეთის სახელმწიფოსთან ერთად ხშირად აპელირებენ კოსოვოს პრეცენდენტით და მოითხოვენ საერთაშორისო საზოგადოების მიერ მათი დამოუკიდებლობის ცნობას. მათი ეს მოთხოვნა ლეგიტიმურობასაა მოკლებული, რადგან კარდინალურად განსხვავდება ერთმანეთისგან კოსოვოსა და ქართული სეპარატისტული რეგიონების კონფლიქტები.

კოსოვოში საბრძოლო მოქმედებების დაწყებას წინ უსწრებდა სერბეთის საბრძოლო ძალებსა და კოსოვოს განმათავისუფლებელ არმიას შორის დაპირისპირება, რომლებიც ითხოვდნენ კოსოვოს ავტონომიის შენარჩუნებას. გაერო, ეუთო, ნატო და ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობდნენ დიპლომატიური საშუალებებით დაესტაბილურებინათ ვითარება. მშვიდობიანი ღონისძიებები არანაირ შედეგს არ იძლეოდა, მილოშევიჩი არ წყვეტდა კოსოვოელი ალბანელების ეთნიკურ წმენდას. საჭირო იყო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დასაცავად. სწორედ ამიტომ ნატომ დაიწყო კოსოვოში სამხედრო ინტერვენცია. ნატოს ავიაციის მიერ საჰაერო იერიში გრძელდებოდა, სანამ იუგოსლავიის შეიარაღებულმა ძალებმა არ დატოვა კოსოვოს ტერიტორია. სამხედრო დაპირისპირების აღკვეთის შემდეგ აქტუალური გახდა კოსოვოს სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა. შეიქმნა გაეროს ადმინისტრაცია კოსოვოში, რომელიც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მშვიდობის უზრუნველსაყოფად საჭირო იყო კოსოვოსთვის დამოუკიდებლობის მინიჭება.

კოსოვოსგან განსხვავებით აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ქართული მხარის მიერ ადგილი არ ჰქონია აფხაზებისა და ოსების ეთნიკურ წმენდას. არასდროს არ ყოფილა მათი თვითმყოფადობა ქართული სახელმწიფოს მხრიდან შელახული, შესაბამისად მათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობიდან გამოყოფის არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდათ.

რაც შეეხება რუსეთის სამხედრო ინტერვენციას საქართველოში, ეს იყო საქართველოს ტერიტორიული ოკუპაციის მცდელობა, რომელიც იყო შენიღბული ჰუმანიტარული ინტერვენციის სახელით. ლეგიტიმური ჰუმანიტარული ინტერვენციისთვის დამახასიათებელი წინაპირობებისა და კრიტერიუმების საფუძველზე განვიხილოთ რუსეთის სამხედრო ინტერვენციის მართებულობა საქართველოში.

- საქართველოში ჰუმანიტარული ინტერვენციის განსახორციელებლად საჭირო იყო სარწმუნო წყაროებით იმის დადასტურება რომ ადგილი ქონდა ადამიანის ფუნდამენტური უფლებების უხეშ ხელყოფას. რა საკვირველია ეს ყოველივე არც ერთი მასალით არ დასტურდებოდა. რუსეთის ხელისუფლების მიერ მოხდა მონაცემების გაყალბება და ხელოვნურად კონფლიქტის შედეგად დაზარალებული პირების რაოდენობის გაზრდა. ამით რუსეთმა შექნა საბაბი საქართველოში შემოსაჭრელად და მისი ეს ქმედება თავისი მოქალაქეების დაცვის უფლებით გაამართლა. საგულისხმოა ის გარემოება, რომ საკუთარი მოქალაქეების დაცვის მოტივით სხვა სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ ძალის გამოყენება არ წარმოადგენს ჰუმანიტარული ინტერვენციის ნაირსახეობას.
- რუსეთის მტკიცებით ცხინვალის რეგიონში ადგილი ქონდა ქართველების მიერ ოსი მოსახლეობის გენოციდს. რეალურად, საქართველოს არ დაურღვევია საერთაშორისო სამართლის არც ერთი ნორმა. პირიქით, სწორედ ქართველი ეროვნების მშვიდობიანი მოსახლეობა გახდა ეთნიკური წმენდის

მსხვერპლი. ამაზევე მეტყველებს სტრასბურგის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება აგვისტოს ომის საქმესთან დაკავშირებით.

- საქართველოში ჰუმანიტარული ინტერვენციის განხორციელებამდე აუცილებელი იყო კონფლიქტის გადაჭრის ყველა მშვიდობიანი გზის ამოწურვა. რუსეთს არც კი უცდია კონფლიქტური სიტუაციის დიპლომატიური გზით განეიტრალება. ქართულ მხარეს ჰქონდა არაერთი მცდელობა სიტუაციის დასარეგულირებლად გაემართა მოლაპარაკებები ოსი სეპარატისტების ლიდერებთან, რაშიც დახმარებას რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელებს და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო საქმეთა რწმუნებულს თხოვდა. რუსული მხარე აცხადებდა, რომ ვერ უკავშირდებოდა სეპარატისტ ლიდერებს. აშკარა იყო, რომ არც რუსეთის და არც სეპარატისტული ჯგუფების ინტერესში არ შედიოდა შექმნილი ვითარების მშვიდობიანი გზით მოგვარება. პირიქით, მათი მიზანი იყო საქართველოს სამხედრო კონფლიქტში ჩათრევა.
- ჰუმანიტარული ინტერვენცია უნდა განხორცილდეს ჰუმანიტარული მიზნებისთვის, ადამიანის სასიცოცხლო უფლებების დასაცავად. საქართველოში შემოჭრისას რუსეთის განძრახვა იყო ვიწრო პოლიტიკური ინტერესი და მიზნად ისახავდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას და საქართველოს ხელისუფლების ძალადობრივ დამხობას.
- საქართველოში რუსეთის სამხედრო ინტერვენცია არ იყო სანქცირებული გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ, შესაბამისად ყველანაირ სამართლებრივ ლეგიტიმურობას იყო მოკლებული.
- ჰუმანიტარული ინტერვენციის ერთ-ერთი კრიტერიუმის თანახმად, ინტერვენციის მაშტაბი, ინტენსივობა და ხანგძლივობა უნდა ყოფილიყო შეძლებისდაგვარად მინიმალური. 2008 წლის ომის დროს რუსეთი პირიქით გასცდა კონფლიქტურ რეგიონს და საქართველოს სხვა რეგიონების ანექსიაც დაიწყო. რუსეთის სამხედრო ძალებმა გადაკეტეს ცეტრალური

საავტომობილო მაგისტრალი, რის შედეგადაც სრულად მოწყდა ერთმანეთს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო. რუსეთის ჯარი დედაქალაქშიც შემოიჭრებოდა, რომ არა ევროპული ქვეყნების აქტიური მხარდაჭერა საქართველოს მისამართით.

- საერთაშორისო სამართლის თანახმად ჰუმანიტარული ინტერვენციის შედეგი არ უნდა იყოს უმოქმედობის შედეგზე უარესი. იმის ფონზე რომ ქართულ-ოსურ კონფლიქტში ჰუმანიტარული ინტერვენციის საფუძველი არ არსებობდა. რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად საქართველოს 412 მოქალაქე დაიღუპა, 1747 კი დაიჭრა. ომის მიმდინარეობისას, 130 000 ადამიანს იძულებით მოუწია საკუთარი საცხოვრებლის დატოვება. მათგან, 25 000 დღემდე იძულებით გადაადგილებული პირია.

  დასკვნის სახით შეიძლება ითქვას რომ, ნაშრომის დასაწყისში დასმულ საკვლევ კითხვებს ამომწურავად გაეცა პასუხი. კვლევის შედეგის საფუძველზე გამართლდა ჩემს მიერ ჩამოყალიბებული ჰიპოთეზა. სეპარატიზმი მართლაც უდიდესი საფრთხის შემცველია საქართველოს ეროვნული და რეგიონალური უსაფრთხოებისთვის. იგი დამაბრკოლებელი მუხრუჭია ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარებისთვის. ერთა თვითგამორკვევის პრინციპის და აგრესიული სეპარატიზმის კომპლექსური ანალიზის შედეგად გამოიკვეთა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეცესიისკენ სწრაფვის არალეგიტიმურობა. ჰუმანიტარული ინტერვენციის ლეგიტიმაციისთვის საჭირო წინაპირობებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის შემდეგ, აშკარა გახდა რომ რუსეთმა დაარღვია ქვეყნის შიდა საქმეებში ჩაურევლობის, ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის, საზღვრების ურღვეობის და დავების მშვიდობიანი გზით მოგვარების პრინციპი. იგი შემოიჭრა საქართველოს სუვერენულ ტერიტორიაზე და მოახდინა საქართველოს 2 რეგიონის ოკუპაცია. მისი ეს ქმედება მიზნად ისახავდა საქართველოზე, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყანაზე ზეგავლენის

შენარჩუნებას და საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისთვის ხელის შეშლას.

ბიბლიოგრაფია

1)ასმუსი როლანდ *,, მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა''* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2011 წელი, თბილისი.

2) გიორგი ხუბუა *,,ფედერალიზმი როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი''.* გამოცემულია ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის ფინანსური მხარდაჭერით. თბილისი, 2000 წელი.

3)გუგული მაღრაძისა და ვახტანგ მაისაიას წიგნი ,, *21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების'' თეორია: მითი და რეალობა-რეგიონული და გლობალური ასპექტები.* 2017 წელი, თბილისი.

4) ზურაბ დავითაშვილის წიგნი *,, ნაციონალიზმი და გლობალიზაცია*''. ფონდი - ,, ღია საზოგადოება- ,,საქართველო'' თბილისი, 2003 წელი.

5) ნიკა ჩიტაძე და ქეთევან ჯებისაშვილი ,,*საერთაშორისო სამართლის ორი ძირითადი პრინციპის - სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და ერთა თვითგამორკვევის შედარებითი ანალიზი კოსოვოსა და აფხაზეთის მაგალითზე''.* თბილისი, 2019 წელი.

6) ლევან ალექსიძის წიგნი -,,*თანამედროვე საერთაშორისო სამართალი"* საგამომცემლო სახლი - ინოვაცია. თბილისი, 2010 წელი.

7) პიტერ მალანჩუკის წიგნი *,,აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი''*გამომცემლობა - დიოგენე. თბილისი, 2005 წელი.

8) ჯაბა უროტაძის სამეცნიერო ნაშრომი თემაზე -,, ჰუმანიტარული *ინტერვენცია: ადამიანის უფლებებიVSსახელმწიფო სუვერენიტეტი"* სივრცე, საზოგადოება,პოლიტიკა. სამეცნიერო შრომების კრებული. 2014 წელი, თბილისი.

აკადემიური ნაშრომები:

9) გიორგი გორელაშვილის სადისერტაციო ნაშრომი თემაზე *,,ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება"* 2011 წელი, თბილისი. უნივერსიტეტის გამომცემლობა.

10)ვლადიმერ გამსახურდიას სადისერტაციო ნაშრომი თემაზე - *,,ქართველთა ეთნიკური იდენტობის ასპექტებისა და სტრუქტურის კვლევა მოდერნულ კონტექსტში"*2016 წელი, უნივერსიტეტის გამომცემლობა.

11)კახაბერ ყალიჩავას სადოქტორო ნაშრომი თემაზე : *,, კოსოვო, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი - თანამედროვე კონფლიქტების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი".* 2019 წელი,თბილისი.

12)ლევან იზორიას სადოქტორო ნაშრომი თემაზე *,,აფხაზური სეპარატისტული მოძრაობა 1945-1993 წლებში".* 2015 წელი, თბილისი.

13)ნინო ოხანაშვილის სადირსეტაციო ნაშრომი თემაზე *,, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების თეორიული ანალიზი ''* 2018 წელი, თბილისი.

14)ხათუნა ბურკაძის სადისერტაციო ნაშრომი თემაზე *,,ძალის გამოყენების სამართლებრივი ასპექტები საერთაშორისო სამართალში".* 2011 წელი, თბილისი. უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ინტერნეტ წყაროები:

15) ეკატერინე მეტრეველი *,,ჯავახეთი - მთავარი ტენდენციების მიმოხილვა".* საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ცენტრი. 2013 წელი. წვდომა 15.06.2021
https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/16-expert-opinion-geo.pdf

16) მიხეილ ბასილაიას სტატია *,, სეპარატიზმი თანამედროვე მსოფლიოში".* ინტერნეტ წყარო - ტაბულა. 29.02.2010. წვდომა 20.06.2021
https://tabula.ge/ge/news/540129-separatizmi-tanamedrove-msoplioshi

17) მარიამ ნებიერიძის სტატია *,, ძალის გამოყენების აკრძალვის პრინციპი გაეროს წესდებაში და მისი მნიშვნელობა საერთაშორისო უშიშროებისა და უსაფრთხოებისთვის''* ინტერნეტ წყარო - yata.ge 28.12.2017. წვდომა 19.06.2021.
http://yata.ge/ge/?p=1563

18) სანდრო ვენტინის სტატია - *,,სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება აგვისტოს ომის თაობაზე''* ინტერნეტ წყარო - civil.ge 21.01.2021. წვდომა 20.06.2021

https://civil.ge/ka/archives/392298

19) საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა. *,,ეთნოსები საქართველოში''*2008 წელი. წვდომა 10.06.2021

http://www.pmmg.org.ge/res/uploads/Etnosebi_Saqartveloshi.pdf

20) Author/Dennis Sammut and Nikola Cvetkovski *,,The Georgia—South Ossetia Conflict''*March 1996. Accessed 15.06.2021
http://www.vertic.org/media/Archived_Publications/Matters/Confidence_Building_Matters_No6.pdf

21) Author/ ROBERT KOLB *,,Note on humanitarian intervention''* 2003. Accessed 16.06.2021
https://www.icrc.org/en/doc/assets/files/other/irrc_849_kolb.pdf

22) Author/ Katharine Boyle and Pierre Englebert, *The Primacy of Politics in Separatist Dynamics.* 2006. Accessed 16.06.2021
http://cega.berkeley.edu/assets/miscellaneous_files/wgape/10_Englebert.pdf

23) Author/ Yevgeny Ryabinin. *THE BASIC CAUSES OF THE CONTEMPORARY SEPARATISM*. 2017. Accessed 15.06.2021
file:///C:/Users/U%20S%20E%20R/Downloads/01%20ryabinin%20(1).pdf

24) Author/ YVONNE C. LODICO. *,,The Justification for Humanitarian Intervention: Will the Continent Matter?''*2001. Accessed 15.06.2021

https://core.ac.uk/download/pdf/216909825.pdf